საზოგადოებრივი
მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER
GPB.GE

# სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველი კვარტალის ანგარიში

საზოგადოებრივი
მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER
GPB.GE

## შინაარსი


1. საინფორმაციო გამოშვება ,,მოამბე“..............................................................**3**

2. გადაცემა „პირველი სტუდია“ ..........................................................................17
3. გადაცემა „რეალური სივრცე“……………………………………..………..19
4. გადაცემა „ჩვენი დილა“……………………………………………….……….28
5. გადაცემა ,,სადილის დრო"………………………………………………….31
6. გადაცემა ,,პირადი ექიმი-მარი მალაზონია"……………………………….33
7. გადაცემა „სამოთხის ვაშლები“…………………………………………….…..35
8. გადაცემა „ფერმა“……………………………………………………………….37
9. გადაცემა ,,ყოჩაღების ქუჩაზე“……………………………...……………..40
10. გადაცემა ,,სიტყვების თამაში“……………………………………………….41
11. გადაცემა ,,უცნობი მუსიკა“……………………………………..………….43
12. გადაცემა „შეხვედრები მწერალთა სახლში“……………………………….…45
13. გადაცემა ,,ჩვენი ეზო"………………………………………………………..47
14. დოკუმენტური ფილმების სტუდია……………………………………….……49
15. სპორტი…………………………………………………………………….………53
16. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახური…………….56
17. სარეკლამო სამსახური……………………………………………………….64
18. ვებ-პორტალი……………………………………………………………………71
19. კანცელარია………………………………………………………………………79
20. საზოგადოებრივი რადიო…………………………………………………….82
21. II არხი…………………………………………………………………….……….93
22. არქივის სამსახური…………………………………………………..……......95.
23. ტექნიკური დეპარტამენტი…………………………………..……………….97
24. იურიდიული სამსახური……………………………………………………….103
25. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური…………………………….…...113
26. გაწეული ხარჯები………………………………………………………..…..115

## საინფორმაციო გამოშვება ,,მოამბე“

იანვრის დასაწყისში „მოამბე“ კვლავ ყურადღებას უთმობდა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ მდგომარეობას. 3 იანვარს კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებში საქართველოს პრეზიდენტი ჩავიდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში საგარეო პოლიტიკის უწყებათაშორისი საბჭოს შექმნა იანვრის სიახლეა. ქართველი ჯარისკაცების ახალი მისიის გამგზავრება ავღანეთში, ასევე, თავდაცვის მინისტრის ვიზიტი ავღანეთში და ჯარიკაცებისათვის ახალი წლის მილოცვა მთავარ გამოშვებებში გაშუქდა.

პრემიერ-მინისტრი რიგის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდა. „მოამბე“ მოვლენას ლატვიის დედაქალაქიდან აშუქებდა. თბილისში ესტონეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი შედგა. ვიზიტის მნიშვნელობასა და ორმხრივ ურთიერთობებზე „მოამბის“ რეპოტრტაჟებში იქნა მოთხრობილი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ვიზიტი იანვარში საქართველოში ევროკომისარის იოჰანეს ჰანი ვიზიტი იყო.

საქართველოს მოქალაქეებს რომლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრები გახდებიან, კანონი დასჯის. მთავრობის ინიციატივა პარლამენტში იქნა დაგადგზავნილი. უმცირესობა მოითხოვდა განმარტებას, შეეხება თუ არა ახალი ნორმა იმ მოქალაქეებს, რომლებიც უკრაინაში იბრძვიან. თემას „მოამბემ“ სპეციალური რეპორტაჟი მიუძღვნა.

იური ვაზაგაშვილი ტრაგიკულად დაიღუპვის შესახებ 20 იანვარს შემთხვევის ადგილიდან პირდაპირ ეთერში ნოდარ ჩაჩუა მოუყვა მაყურებელს სოფელ ყარაფილაში პირველადი საგამოძიებო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოპოვებული ექსკლუზიური ინფორმაციით ფაქტი, რომელიც შესაძლოა სოფელ ყარაფილაში მომხდარ დღევანდელ შემთხვევასთან პირდაპირ კავშირში იყოს, 20 იანვარს გახდა ცნობილი მაყურებლისთვის. ჟურნალისტ გიორგი ფუტკარაძის რეპორტაჟში საუბარი იყო იმ ფაქტზე, რომ მკვლელობის დღეს იური ვაზაგაშვილი მეორე არხის საგამოძიებო ჯგუფის ჟურნალისტთან ერთად კორტების სპეც-ოპერაციის ერთ-ერთ იმ მთავარ მოწმეს უნდა გასაუბრებოდა, რომელმაც 9 წლის შემდეგ ზურა ვაზაგაშვილის საქმის

ახალი გარემოებების გამჟღავნება გადაწყვიტა. ამ ექსკლუზიური ინფორმაციით გაიხსნა 21 იანვრის „მოამბის“ მთავარი გამოშვება.

იური ვაზაგაშვილის მკვლელობის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე. ჭიკაიძის წასვლიდან რამდენიმე საათში პოსტიდან გადადგა კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილეც. „მოამბემ“ მაყურებელს გააცნო გადამდგარი მაღალჩინოსნების პოზიციები და პოლიტიკოსების შეფასებები ამ თემაზე.

საქართველოს დელეგაციის შეხვედრებს დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმზე ჟურნალისტი ქეთი ქარდავა აშუქებდა.

„მოამბემ“ ექსკლუზიურად ჩაწერა ინტერვიუ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილესთან. ქეთი ქარდავა ალექსანდრ ვერშბოუს ესაუბრა თბილისში მოახლოებულ ვიზიტზე, ასევე დაისვა კითხვები უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის პროცესსა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივებზე. ინტერვიუში საუბარი იყო როდის გაიხსნება ნატოს საწვრთნელი ცენტრი თბილისში და როგორ აფასებს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებას სტოლტენბერგის მოადგილე, რომელიც უელსის სამიტზე საქარათველოსთვის მინიჭებული არსებითი პაკეტის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნეს.

იანვრის თვის ერთ-ერთი მთავარი თემა უზენაესი სასამართლოს მომავალი თავმჯდომარის საკითხი იყო. პრეზიდენტის ხედვა, პარლამენტისა და პოლიტიკური ჯგუფების კონსულტაციები, სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებები იყო საინფორმაციო გამოშვებების ჟურნალიტების რეპორტაჟების ძირითადი საკითხები.

უკანონო შეთანხმების ხელმოწერის ფონზე ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრებ ბავშვებს თავისუფლებას უზღუდავენ. გაკვეთილებზე დასასწრებად წასული სამი არასრულწლოვანი სკოლის ნაცვლად ტყვეობაში აღმოჩნდა. ე.წ. რუსმა მესაზღვრეებმა გალში მცხოვრები არასრულწლოვნები მაშინ აიყვანეს, როდესაც ისინი ოკუპირებულ სოფელ საბერიოდან მოსაზღვრე სოფელ ფახულანში მდებარე სკოლაში მიდიოდნენ. ზეწოლის ამ გახშირებულ ფორმას ერთადერთი მიზანი აქვს: ბავშვების რუსულ სკოლაში სიარული. 23 იანვარს რეპორტაჟი ამ თემაზე „მოამბის“ სამეგრელოს ბიურომ მოამზადა.

7 იანვარს ტერაქტი განხორციელდა პარიზში სატირულ ჟურნალ “შარლი ებდოს” ოფისზე. მოამბის გამოშვებების ერთ-ერთი მთავარი თემა იანვარში სწორედ ეს

ტრაგიკული მოვლენა გახდა. „მოამბის“ კორესპონდენტები რატი ხვისტანი და გიორგი ფოფხაძე შემთხვევის ადგილიდან აშუქებდნენ მოვლენებს. 11 იანვარს „მოამბემ“ სპეციალური გამოშვება მიუძღვნა სოლიდარობის მარშს პარიზში და პარიზში მიმდინარე მოვლენებს ე.წ. ნონსტოპის რეჟიმში გააშუქება.

საპროტესტო ბანერები პანკისის ხეობაში. სოფელ დუისში მცხოვრებმა მუსლიმებმა მუჰამედის ის კარიკატურა გააპროტესტეს, რომელიც ფრანგულ სატირულ ჟურნალ ,,შარლი ებდოს" რედაქციამ შვიდ იანვარს მომხდარი ტერაქტის შემდეგ გამოსული ნომრის გარეკანზე დაბეჭდა. აქციაზე შეკრებილები მსგავს კარიკატურებს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფად აფასებდნენ, თუმცა ტერორიზმსაც მკაცრად გმობდნენ. „მოამბის“ კახეთის ბიუროს კორესპონდენტი რომან ქევხიშვილი მუშაობდა ამ თემაზე პანკისში.

დეტალურად გაშუქდა იტალიაში ბორანზე მომხდარი კატასტროფა, რომლის დროსაც ქართველი სასულიერო პირი მამა ილია კარტოზია დაიღუპა.

საზარელი მკვლელობა სომხეთის ქალაქ გიუმრიში. რუსმა ჯარისკაცმა სოხური ოჯახი ამოხოცა. სომხეთში საპროტესტო აქციები დაიწყო და გლოვის დღეები გამოცხადდა. „მოამბე“ მოვლენებს შემთხვევის ადგილიდან აშუქებს.

უკრაინის აღმოსავლეთით მიმდინარე საომარ ქმედებებს და დონეცკის აეროპორტზე შეტევას, ცეცხლი გახსნას ქალაქ მარიუპოლში ცხელი წერტილებიდან აშუქებდა „მოამბის“ სპეციალური კორესპონდენტი გიორგი ფუტკარაძე.

დონეცკში მიმდინარე შეტაკებები საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო. უკრაინის აღმოსავლეთით გამწვავებული ვითარება ევროკავშირში საგარეო საქმეთა მინისტრები წლის პირველ მინისტერიალის მთავარი თემა იყო. ჟურნალისტი ქეთი ქარდავა ბრიუსელში საგარეო საქმეთა მინისტრები წლის პირველ მინისტერიალზე უკრაინის საკითხის განხილვას ადევნებდა თავლს. 19 იანვრის გამოშვებაში ჟურნალისტი პირდაპირ ეთერში საუბრობდა შესაძლებელია თუ არა, რომ დონეცკში გამწვავებული ვითარების და სეპარატისტთა იერიშის შემდეგ ევროკავშირმა რუსეთისთვის დაწესებული სანქციები მოხსნას.

„ც“ ჰეპატიტის პრევენციისთვის სტომატოლოგიურ კლინიკებში დაწყებული მონიტორინგი, სმენის პრობლემის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილ სასწავლებელში არასრულყოფილი საგანმანათლებლო სისტემის პრობლემები, 6 თვის განმავლობაში გარე სამყაროს მოწყვეტილი სოფლები და ადამიანები,

საზოგადოებრივი მაუწყებელი
GEORGIAN PUBLIC BROADCASTER
GPB.GE

მაღალმთიან რეგიონში დარჩენილი 26 მოსახლე თუშეთში, ანანურის ტყეში მიტოვებული სოციალურად დაუცველ 7 სულიან ოჯახის პრობლემა, რომელსაც ქუჩაში დარჩენა ემუქრება - ეს არის „მოამბის" სოციალური რეპორტაჟების არასრული ჩამონათვალი.

“ც” ჰეპატიტის წინააღმდეგ ჯანდაცვის სამინისტრომ იანვარში მასშტაბური კამპანია დაიწყო. „მოამბემ" 14 იანვრიდან ელიმინაციის პროგრამის წინააღმდეგ პროექტის და სხვადასხვა აქტივობის გაშუქებას გარკვეული დრო დაუთმო.

გამოშვებებში დიდი ყურადღება დაეთმო სახალხო დამცველის ანგარიშს, რომელიც გლდანის ციხეში არსებულ ვითარებას ეხებოდა.

საინფორმაციო პროგრამა აშუქებდა საკანონმდებლოო ცვლილებებს პედაგოგეების დისციპლინურ სახდელთან დაკავშირებით, რომელიც საზოგადოებაში დისკუსიის საგანი გახდა. კიდევ ერთი საკანონმდებლოო ცვლილება, რომელიც იანვარში „მოამბის" ობიექტივში მოხვდა საარჩევნო კოდექსში ცვლილებებთან დაკავშირებოიით არასაპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნას ეხებოდა. მათ მოსაზრებები და ოფიციალურ პასუხები ასასხული იყო ეკა კოპალიანის რეპორტაჟში.

„მოამბე" ყურადღებას ამახვილებდა ცხოველთა უფლებების დაცვაზე და ეხმიანებოდა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს შექმნას.

ბათუმში გაიმართა საპროტესტო აქცია ბათუმი-თაუერის გაყიდვასა და აუქციონზე გატანასთან დაკავშირებით. პროეტესტს სტუდენტები და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები გამოთქვამდნენ. ორ დღეში გაირკვა, რომ რომ ახალ შენობას ყოფილი პრემიერის ფონდი ,,ქართუ" ააშენებს. ხელისუფლებამ ოპონენტებს უპასუხა.

,,მოამბის" გადამღები ჯგუფი იანვარში ფერეიდანს სტუმრობდა. ადგილზე ჩასულ ქართულ საპარლამენტო დელეგაციას ფერეიდნელმა ქართველებმა საცხოვრებელი პირობები გააცნეს და რამდენიმე თხოვნით მიმართეს. ადგილობრივებისთვის ახლა ყველაზე მთავარი პრობლემა საქართველოსა და ირანს შორის დაწესებული ცალმხრივი სავიზო რეჟიმია. ფერეიდნელთა თხოვნა „მოამბის" სპეციალური რეპორტაჟის მთავრი თემა იყო.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლებამოსილების ვადა ეწურება. ვინ იქნება ახალი თავმდომარე? პრეზიდენტთან კონსულტაციები იწყება. პრეზიდენტმა პარლამენტს ნინო გვენეტეძის კანდიდატურა წარუდგინა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

12 აიანვარს ახალი დეტალები გახმაურდა ვაზაგაშვილის საქმესთან დაკავშირებით. დაცვის მხარემ წარმოადგინა ფოტო მასალა, რომელიც მათი თქმით ადასტურებს, რომ ვაზაგაშვილის გარდაცვალება თავის არეში მიყენებულმა გასროლამ გამოიწვია. ადვოკატებმა შესაბამისი დოკუმენტაცია პროკურატურას მიაწოდეს.

„მოამბე" იანვარში ყურადღებას კიდევ ერთ საკანონმდებლო ცვლილებაზე ამახვილებდა, რომელიც ჩხრეკა-ამოღების პროცედურებს ეხება. საპროცესო კოდექსში ცვლილებებს პარლამენტში მოწინააღმდეგეები ყავს.

ქართულ- ესტონური ფილმი ოსკარის ნომინანტთა სიაში მოხვდა. „მანდარინების" ამ წარმატების შესახებ 15 იანვარს გახდა ცნობილი. ამ დღიდან "მოამბე" თვალს ადევნებდა მოვლენების გავითარებას.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრში დაპრისპირებაა. ქეთი დოლიძემ მსახიობი გია როინიშვილი სამსახურიდან გაათავისუფლაა. როინიშვილი ამ გადაწყვეტილებას პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უწოდებს. „მოამბემ" ორივე მხარის პოზიციები დააფიქსირა.

უკრაინელი სცენარისტის და რეჟისორის მხარდასაჭერად ქართველი კინემატოგრაფისტები გაერთიანდნენ. ოლეგ სენცოვის, მაიდანის მოვლენების აქტივისტის მხარდასაჭერად, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებმა უკანონოდ დააკავეს, თბილისში უკრაინული კინოს დღეები გაიმართა. „მოამბე" იმ პროგრამის შესახბ მოუთხრო მაყურებელს, რომელიც ამ დღეების პროგრამით იყო ნაჩვენები.

„მოამბის" კულტურის ბლოკში 22 იანვარს ექსკლუზიური მასალა გადაიცა - ქართველი ხელოვნებათმცოდნეების დიდი ინტერესი მოსკოვში გარდაცვლილი ბიზნესმენის ივანე შერვაშიძის პირად ნივთებში აღმოჩენილმა ორმა უნიკალურმა ხატმა დაიმსახურა. ერთ-ერთ ხატზე დადიანების საგვარეულოს წარმომადგენელია გამოსახული. წმინდა გიორგის და მთავარანგელოზის ხატებს ხელოვნებათმცოდნეები პეპუ მეუნარგიას საოქრომჭედლო სკოლას მიაკუთვნებენ. ამ საკითხებზე წარმოდგენილი იქნა სხვადასხვა მოსაზრებები.

,,მოამბე'' ინტენსიურად აშუქებდა საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის პრობლემებს- ე.წ. ოსური პასპორტების დარიგება, გორის რაიონის სოფლების, აძვისა და ჯარიაშენის მცხოვრებლები მცოცავი ოკუპაციის, გამო მიწის გარეშე დარჩნენ.

მთავარმა პროკურატურამ ზურა ვაზაგაშვილის საქმე გახსნილად გამოაცხადა. 2006 წელს ჩატარებული კორტების ოპერაცია კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მაშინდელმა მაღალჩინოსანმა ირაკლი ფირცხალავამ პირადი შურისძიების მოტივით დაგეგმა. ,,მოამბე'' აშუქებდა დაკავებულის სასამართლო სხდომებს.

გამოქვეყნდა 45 არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი წერილი, რომელშიც ავტორები ხელისუფლების და გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლასა და თავდასხმებზე საუბრობენ. ამ თემამ საინფორმაციო გამოშვებებში მთავარი ადგილი ეკავა.

,,მოამბის'' ექსკლუზიური ინტერვიუ: ახალი დეტალები საქართველოში ასამოქმედებელ ნატოს საწვრთნელ ცენტრზე. ,,მოამბის" ჟურნალისტმა ქეთევან ქარდავამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან, ჯეიმს აპატურაისთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა.

,,მოამბე'' ყურადღებას უთმობდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურებს და პირდაპირი ეთერს უთმობდა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც საკუთარ კანდიდატურებს აყენებდნენ.

აფხაზურმა მედიამ დეზინფორმაცია გააავრცელა - ,,აფსნი პრესის'' სტატიის მიხედვით, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლი ჰერბერტ ზალბერტი ოკუპირებულ ქალაქში წარმომადგენლობის გახსნით დაინტერესდა. ,,მოამბის'' ჟურნალისტმა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა.

თავდაცვის მინისტერიალი საინფორმაციო გამოშვებების ერთ-ერთი წამყვანი თემა იყო. ნატოს გენერალურმა მდივანისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის შეხვედრას ბრიუსელიდან ,,მოამბის'' კორესპონდენტის რეპორტაჟი მიეძღვნა.

შეიძლება თუ არა კრემლში გამართულ სამმხრივ შეხვედრას უკრაინული კრიზისის დასრულება მოყვეს - თემაზე სასაუბროდ ,,მოამბის'' პირდაპირ ეთერში 2008-2012 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, გრიგოლ ვაშაძე ჩაერთო.

,,მოამბემ'' გააშუქა ლიტვის სეიმის დელეგაციის ორდღიანი ვიზიტი საქართველოში, ასევე უნგრეთში საქართველოს პრემიერის ვიზიტი. ,,მოამბე'' გააშუქა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი, გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრა.

,,მოამბე'' მიუნხენიდან აშუქებდა უსაფრთხოების კონფერენციას, ირაკლი ღარიბაშვილისა და ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის, აგრეთვე ავღანეთის პტრეზიდენტთან შეხვდრებს.

სპეციალურად „მოამბისთვის" საგარეო პოლიტიკურ საფრთხეებზე ისაუბრეს შეერთებული შტატების სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის წინაშე ამერიკის სამმა ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა. მადლენ ოლბრაიტის, ჯორჯ შულცისა და ჰენრი კისინჯერის მოხსენების დეტალებზე"მოამბეში" ამერიკის ხმის ჟურნალისტმა ნანა საჯაიამ ვაშინგტონიდან ისაუბრა.

,,მოამბის'' აჭარის რეგიონული კორესპონდენტი მერაბ წულუკიძეს აჭარის უმაღლეს საბჭოში დაპირისპირებას, სადაც ,,ქართულმა ოცნებამ'' უმრავლესობა დაკარგა, პირდაპირი ჩართვების ღეჟიმში და მის მიერ მომზადებულ რეპორტაჟებში აშუქებდა.

უკრაინის ელჩმა საქართველოში ვასილი ციბენკომ ,,მოამბის'' ჟურნალისტს რატი ხვისტანს ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა. უკრაინელი დიპლომატი სამშობლოში განვითარებულ მოვლენებს აფასებდა.

ევროსაბჭოს ანგარიში - სასჯელაღსრულებით დააწესებულებებში მსჯავრდებულების რაოდენობის ყველაზე დიდი კლება ევროპის მასშტაბით საქართველოში დაფიქსირდა. ევროკავშირის სამიტი- ევროკავშირის ლიდერები ბელორუსის დედაქალაქში გამართული მოლაპარაკების შედეგებს ისმენენ. ქეთი ქარდავა აშუქებს ევროკავშირის სამიტს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შესარჩევად დადგენილი კრიტერიუმების გამო მმართველ გუნდში უთანხმოება მწვავდება. დაპირისპირების მთავარი გმირები კონკურსში ჩართული ზაქარია ქუცნაშვილი და დავით საგანელიძე არიან.

ბუნდესტაგის დელეგაციის ვიზიტი საქარტველოში- გერმანიის ბუნდესტაგის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდა.

უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რეზოლუციის მისაღებად გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა უნდა გაიმართოს. უკრაინის საკითხზე სასაუბროდ ,,მოამბის'' სტუდიაში უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე თეონა აქუბარდიამ ისაუბრა.

,,მოამბე'' აშუქებს თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის, ვიქტორია ნულანდის ვიზიტს.

სომხეთში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი. სომხეთის დედაქალაქში მიმდინარე შეხვედრებს ,,მოამბის'' ჟურნალისტი ნათია ქენქაძე აშუქებდა.

ლარი ისევ დაეცა. გიორგი ფუტკარაძე ადევნებს თვალს სავალუტო ბაზარზე მიმდინარე რყევებს.

სავალუტო ბაზარზე მიმდინარე რყევების ფონზე სიახლეა სამშენებლო სფეროში. დეველოპერული კომპანიების გარკვეული ნაწილი სახელმწიფოს წინაშე დაგროვილი ვალებისგან თავისუფლდება.

,,მოამბის" გადამღები ჯგუფი აშუქებს მაიდანზე მიმდინარე მოვლენებს- ერთი წელი უკრაინის უახლოესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული მოვლენებიდან. ქვეყანა 2014 წლის თებერვლის სისხლიან დღეებს და ზეციური ასეულის გმირებს იხსენებს.

ეკონომიკური ვითარების გაუარესების ფონზე მთავრობა სოფლის მეურნეობაში ახალი პროექტის დაწყებას აანონსებს. ,,მოამბის'' პირდაპირ ეთერში სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია საუბრობს.

ღირსების მარში უკრაინაში. მსვლელობაში ევროპელი ლიდერებიც მონაწილეობდნენ, მათ შორის ქართული დელეგაცია და საქართველოს პრეზიადენტი. უკრაინის დედაქალაქიდან ,,მოამბის'' ჟურნალისტი ნიკა მოლოდინაშვილი აშუქებდა მოვლენებს.

პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი ხორვატიაში. ,,მოამბე'' ზაგრებიდან აშუქებს დავით უსუფაშვილის შეხვედრებს.

ზურაბ აბაშიძე ბრიუსელში შეხვედრებს მართავს და ევროპელ პარტნიორებს კარასინთან დაგეგმილ მორიგ მოლაპარაკებაზე ესაუბრება. ,,მოამბის'' ჟურნალისტი იმყოფება ბრიუსელში.

ნატოს შტაბ-ბინაში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომას. სხდომამდე საქართველოს პირველი დიპლომატი ნატოს გენერალურმა მდივანმა მიიღო. ბრიუსელში იმყოფება ,,მოამბის'' ჟურნალისტი ქეთი ქარდავა.

პრემიერ-მინისტრის ბრიუსელში ვიზიტი. ღარიბაშვილი ევროკომისიაში ოფიციალური შეხვედრებს მართავს. მთავრობის მეთაური ესაუბრა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს. ბრიუსელში იმყოფება ქეთი ქარდავა და აშუქებს პრემიერის ვიზიტს.

პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი ბულგარეთში. სოფიაში იმყოფება ,,მოამბის'' გადამღები ჯგუფი.

პრემიერ-მიისტრის, ღარიბაშვილის ვიზიტი ბუქარესტში. რუმინეთის მთავრობის მეთაურმა საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერა გამოუცხადა. შეხვედრის დროს საუბარი შეეხო სავაჭრო-ეკონომიკურ და სატრაანსპორტო ურთიერთობებსაც. პრემიერის ვიზიტს ბუქარესტში აშუქებს ,,მოამბის'' ჟურნალისტი ნიკა მოლოდინაშვილი.

,,მოამბე'' განაგრძობს უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის კანდიდატებთან შეხვედრას სტუდიაში.უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე პრეზიდენტმა ნინო გვენეტაძე წარადგინა. რა გეგმებით მიდის პარლამენტის მხარდაჭერის შემთხვევაში უზენაეს სასამართლოში- ნინო გვენეტაძე უპასუხებს ,,მოამბის'' შეკითხვებს.

მარტში „მოამბემ" არაერთი სიუჟეტი მოამზადა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალთან ე.წ. ინტეგრაციის შეთანხმების ხელმოწერაზე. აფხაზეთთან გაფორმებული უკანონო დოკუმენტის შემდეგ ქართულმა მხარემ მომხდარი შეაფასა, როგორ საქართველოს ანექსიისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. ამ მოვლენას დაემთხვა ჟენევის დისკუსიები, რომელზეც „მოამბე" პარალელურად მუშაობდა. ქართულმა მხარემ თარიღების დამთხვევა პროვოკაციად შეაფასა. ასევე იყო საფრთხე მოლაპარაკებების 31-ე რაუნდის ჩაშლის. „მოამბემ" სიუჟეტი მოამზადა საერთაშორისო რეაქციაზე, რაც რუსეთის ნაბიჯს მოყვა. რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები გაშუქდა უკრაინასთან მიმართებაშიც. მომზადდა სიუჟეტი ყირიმის ანექსიაზე, როცა რუსეთმა არაღიარებული რეფერენდუმის ჩატარებიდან და მიერთების ხელმოწერიდან ერთი წლის თავზე ყირიმში საზეიმო ღონისძიებები გამართა.

ოკუპირებული საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობის უსაფრთხოების პრობლემა მარტშიც საინფორმაციო გამოშვების მთავარ თემებს შორის იყო. რუსმა სამხედროებმა ე.წ. საზღვრის დარღვევის ბრალდებით არაერთი ადგილობრივი დააკავეს და ცხინვალში გადაიყვანეს. ამ თემაზე დაზარალებული ოჯახების და ოფიციალური განცხადებების გარდა „მოამბე" ყურადღებას ამახვილებდა ადგილობრივების სხვადასხვა პრობლემაზე, მათ დარღვეულ უფლებებზე. ადგილზე მუშაობდა პირველი არხის გორის ბიუროს გადამღები ჯგუფი.

მოამბე მარტშიც აქტიურად აშუქებდა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს და განსაკუთრებით ევროპასთან უვიზო რეჟიმის მინიჭების შანსებს - რიგის სამიტის

საზოგადოებრივი მაუწყებელი
GEORGIAN PUBLIC BROADCASTER
GPB.GE

წინ, თუ რა განცხადებებს აკეთებდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები და როგორი იყო შეფასებები თბილისში პოლიტიკურ და საექსპერტო წრეებში. ამ პერიოდში საქართველოში იმყოფებოდა ნატოს ექსპერტთა ჯგუფიც, რომელიც ნატოს სასწავლო ცენტრისთვის არჩევდა ადგილმდებარეობას.

უზენაესი სასამართლოს ხმაურით გათავისუფლებული ყოფილი მოსამართლე 10 წლის შემდეგ სამსახურში თავმჯდომარის სტატუსით დაბრუნდა. მარტში, ხანგრძლივი დისკუსიების და საპარლამენტო განხილვების შემდეგ პარლამენტმა საბოლოოდ დაამტკიცა პრეზიდენტის მიერ წარდგენილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე - ნინო გვენეტაძე. ჯერ კიდევ კანდიდატობის პერიოდში საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტებმა არაერთი სიუჟეტი მოამზადეს, როგორც ნინო გვენეტაძის წარსული საქმიანობის შესახებ, ასევე მის წინამორბედზე, სასამართლო სისტემაზე, მიმდინარე დისკუსიებზე და თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით.

მარტის მეორე ნახევარში „მოამბემ" გააშუქა საპარლამენტო ოპოზიციური პარტიის - „ნაციონალური მოძრაობის" საპროტესტო აქცია თავისუფლების მოედანზე, რომელზეც აქციის მონაწილეები ითხოვდნენ ხელისუფლების გადადგომას. პროტესტს ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის პრეზიდენტი და პრემიერი გამოეხმაურნენ. პარალელურად გაიმართა კონტრ-აქციაც, რაც ასევე გაშუქდა საინფორმაციო გამოშვებაში. ქუჩის აქციების შემდეგ საპარალამენტო უმცირესობამ მთავრობის გადაყენების პროცედურების დაწყება უკვე პარლამენტში სცადა, თუმცა საკმარისი ხმები (75 დეპუტატი) ვერ შეაგროვა და საკითხი, როგორც წინასწარვე იყო ცნობილი ჩავარდა.

„მოამბემ" არაერთი სიუჟეტი მოამზადა ავიაკატასტროფაზე საფრანგეთის ალპებში, რომელსაც 148 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ბარსელონა-დიუსელდორფის რეისს „ლუფთჰანზას" შვილობილი კომპანია „ჯერმანვინგსი" ასრულებდა. რა იყო ავიაკატასტროფის მიზეზები, იყო თუ არა დამნაშავე მეორე პილოტი და უსაფრთხოების რა წესები შეიცვალა ტრაგედიის შემდეგ ავიასფეროში, არამხოლოდ „ლუფთანზასთვის" არამედ არაერთი სხვა ავიაკომპანიისთვის - ყველა ამ მთავარ კითხვაზე პასუხების გასაცემად სიუჟეტებს ამზადებდა „მოამბის" საერთაშორისო ამბების ჯგუფი.

„მოამბემ" პირდაპირ ეთერში გააშუქა პრემიერის პრესკონფერენცია მარტის ბოლოს, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი ჟურნალისტების კითხვებს პასუხობდა. მთავარ გამოშვებაში კი მომზადდა სიუჟეტი, სადაც მოხვდა აქტუალურ კითხვებზე

პრემიერის პასუხები - მათ შორის ლარის კურსზე, შესაძლო საკადრო ცვლილებებზე მთავრობაში და ყოფილ თავდაცვის მინისტრთან პოლიტიკურ დაპირისპირებაზე.

„მოამბემ“ 28 მარტს ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობაზე არაერთი სიუჟეტი მოამზადა. „მოამბე“ პირველი იყო, რომელმაც 4 საათიან გამოშვებაში, შემთხვევის ადგილიდან დაიწყო მომხდარის გაშუქება. სიუჟეტები მომდევნო დღეებშიც სხვადასხვა კუთხით მომზადდა. მათი შორის მკველობის სავარაუდო მოტივებთან და ვერსიებთან დაკავშირებით. „მოამბემ" პირველივე დღეს ჩაწერა გია უდესიანი, რომელსაც ხარძიანის ოჯახის წევრები მკვლელობის შემკვეთად ასახელებდნენ.

მარტის ბოლო დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვების პირველი ნაწილი მთლიანად პარლამენტში - პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას დაეთმო. პარლამენტიდან და მოამბის ნიუსრუმიდან იყო პირდაპირი ჩართვები - პრეზიდენტის გამოსვლის მთავარ აქცენტებზე, მათ შორის ეკონომიკურ მდგომარეობასა და უმუშევრობაზე. „მოამბემ“ ცალკე სიუჟეტი დაუთმო მთავრობის გამოხმაურებებს, რომლებიც პრეზიდენტის რიგით მეორე გამოსვლასაც არ დასწრებიან და რომელთა საქმიანობასთან დაკავშირებითაც გიორგი მარგველაშვილმა საკუთარი გამოსვლის დროს შენიშვნები გამოთქვა. ასევე გამოშვებაში გაშუქდა ოპოზიციური პარტიების პოლიტიკური შეფასებები.

ლარის კურსის ცვალებადობა და ეკონომიკური პრობლემები აქტუალური მარტის თვეშიც იყო. მიზეზებისა და გამოსავალი გზების შესახებ ინფორმაციის მოსასმენად პარლამენტში მთავრობის ეკონომიკური გუნდი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დაიბარეს. კურსის ცვალებადობის შესახებ მოამბემ არაერთი რეპორტაჟი მოამზადა და მაყურებელს პრობლემის მოგვარებაზე პასუხისმგებელი და დაინტერესებული ყველა მხარის პოზიცია გააცნო. მარტში მოამბის კორესპონდენტმა ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელთან და მაყურებელს მისი შეფასებები და რეკომენდაციები გააცნო.

მოამბემ არაერთი სიუჟეტი მოამზადა პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტის შექმნასთან დაკავშირებით,რომელმაც წინა ხელისუფლების დროს დაზარალებულთა საქმეები უნდა შეისწავლოს.

მარტის თვეში, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა ირაკლი ალასანიას გუნდსა და რუსეთთან ურთოერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელს შორის დაპირისპირება.ზურაბ აბაშიძეს ნატოში საქართველოს გაწევრიანების ვადასთან დაკავშირებით გეკეთებული განცხადების გამო თანამდებობის დატოვებისაკენ მოუწოდებდნენ. მოამბის ეთერით მაყურებელს

საშუალება ჰქონდა დაპირისპირებაში ჩართული ყველა მხარის პოზიცია ვრცლად მოესმინა

ვინ და რა რაოდენობით თანხა მიიღო 2014 წელს. რამდენად შეიცვალა პილიტიკური პარტიების დაფინანსება წინა წლებთან შედარებით. მოამბემ მაყურებელს ყველა პარტიის შემოსავლების შესახებ გასაჯაროებული ინფორმაცია დეტალურად მიაწოდა

მარტის თვეში აუთვისებელი ხარჯებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყების მხრივ ჩამორჩენის გამო პრემიერ-მისნისტრისაგან მინისტრებმა შენიშვნები, მერებმა და გამგებლებმა კი გაფრთხილება მიიიღეს. აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობის შესახებ მოამბემ მაყურებელს ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა

არასაპარლამენტო ოპოზიცია კვლავ აქტიურად მოითხოვდა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანას. მათ მიერ გაფორმებულ მემორანდუმსა და ყველა აქტივობის შესახებ მარტის თვეში მოამბემ რამდენიმე რეპორტაჟი მოამზადა.

ცვლილებები განხორციელდა თბილისის მთავრობაში. მარტის თვეში თანამდებობები დატოვეს მერიის ადმინისტრაციის უფროსმა და მისმა მოადგილემ. მათ პოსტებიდან წასვლას კორუფციულ გარიგებებს უკავშირებდა საკრებულოს ნაციონალური მოძრაობა. ქალაქის მუნიციპალიტეტში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შესახებ მოამბემ მაყურებელს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა

პრეზიდენტის მიერ მოწვეული, პარლამენტის საგანგებო სხდომა, 13 მარტს ჩაიშალა. მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა ქუთაისში არ ჩავიდა, მმართველ გუნდს მხოლოდ ზვიად ძიძიგური წარმოადგენდა. რეგისტრაციის დროს დარბაზში 41 დეპუტატი იჯდა. მოამბემ მაყურებელს დეტალურად გააცნო ინფორმაცია, იმის შესახებ რატომ მოიწვია პრეზიდენტმა საგანგებო სხდომა და რა გახდა მისი ჩაშლის მიზეზი

150 კანონმდებელი და მათ შორის მხოლოდ 18 ქალი. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით პარლამენტში გენდერული ბალანსი დარღვეულია. უფლებადამცველები ხელისუფლებას სთხოვენ მომდევნო საპარლამენტო არჩევნების დროს, პარტიებმა პროპორციულ სიებში მინიმუმ ყოველ მეორე კანდიდატად ქალი წარადგინონ. მოამბემ არასამთავრობოების მიერ

მომზადებულ ინიციატივაზე და საკითხით დაინტერესებული მხარეების პოზიციების შესახებ მაყურებელს ინფორმაცია ვრცლად მიაწოდა.

მოამბემ ვრცლად გააშუქა პარლამენტის მიერ მიღებული კანონი,რომელიც ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს და მათ სტატუსს შეეხება.

მარტის თვეში კვლავ აქტუალური იყო საყდრისის საბადოზე ოქროს მოპოვებითი სამუშაოების გაგძელება.პარლამენტში ოპოზიცია საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდა,პარალელურად მიმდინარეობდა სხვადასხვა შინაარსის აქციები რის შესახებაც მოამბის მაყურებელი ამომწურავ ინფორმაციას იღებდა.

მოამბემ აჭარის უმაღლეს საბჭოში განვითარებული მოვლენები არაერთხელ გააშუქა. რესპოდენტთა ნაწილი მარტში სახელისუფლებო კრიზისზე საუბრობდა. პოლიტიკურ ძალებს შორის დაპირისპირების შესახებ მოამბემ მაყურებელს ინფორმაცია დეტალურად მიაწოდა

მარტის თვეში ცნობილი გახდა რომ სახელმწიფო უწყებები მაიკროსოფთის ლიცენზირებილი პროგრამით ისარგებლებენ. მიზანი ჰაკერების თავდასხმების აღკვეთაა. არსებული საფრთხეებისა და კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ, მოამბემ მაყურებელს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა

გლდანის მერვე დაწესებულებაში უვადო პატიმრობაში მყოფმა რამდენიმე მსჯავრდებულმა შიმშილობა დაიწყო, მოამბემ მათი მოთხოვნები გააშუქა. დედის დღესთან დაკავშირებით პრეზიდენტმა 8 მსჯავრდებული ქალი შეიწყალა რის შესახებაც მაყურებელმა მოამბის ეთერიდან შეიტყო

მარტის თვეში მოამბე განაგრძობდა ბორის ნემცოვის მკლელობის ამბავის დეტალების გაშუქებას, მათ შორის ყველა იმ ღონისძიების შესახებ მაყურებლისათვის ინფრორმაციის მიწოდებას, რაც იმ პერიოდში რუსი ოპოზიციეონერის მკვლელობის დასაგმობად იმართებოდა.

საინფორმაციო გამოშვებაში შუქდებოდა მოსახლეობის, მათ შორის რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების სოციალური პრობლემები, ყურადღება გამახვილდა მეწყერსაშიშ ზონაში მცოვრებ სოფელ კვირიკეს მოსახლეობის მოთხოვნებზე; საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებულ მდინარეებზე გორის რაიონში. წედისი, ქავესი, ხიდისთავი- ამ სოფლების მოსახლეობა ნაგავსაყრელის არარსებნობას აპროტესტებდა, რის გამოც ადგილობრივთა ნაწილი ნარჩენებს პირდაპირ მდინარეებსა და სარწყავ არხებში ყრიდა

საზოგადოებრივი მაუწყებელი

ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში მდებარე ვეზირიშვილების ისტორიული სასახლის გადარჩენას ადგილობრივი მოსახლეობა მოითხოვდა, ისინი მეთვრამეტე საუკუნის შენობისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებაზე საუბრობდნე. განათლების სამინისრო კი გვერდით მდებარე სკოლის მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით შენობის დემონტაჟს გეგმავდა. ამ საკითხზე მოამბემ ვრცელი რეპორტაჟი მოამზადა

მარტის თვეში ცნობილი გახდა, რომ საქართველოში მირზა გელოვანის ნეშტის გადმოსვენება იგეგმება. მოამბემ ამის შესახებ მაყურებელს ინფორმაცია პირველმა მიაწოდა

14 მარტს რაგბში საქართველოს ნაკრებმა რუსეთის ეროვნული გუნდი 33-0 დაამარცხა. მიხეილ მესხის სახელობის ეროვნულ სტადიონზე თავისუფალი ადგილი საერთოდ არ იყო. პირდაპირი ტრანსლიაციის შემდეგ მოამბემ მაყურებელს კიდევ ერთხელ გააცნო სტადიონზე განვითარებული მოვლენები.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

## გადაცემა „პირველი სტუდია“

თოქ-შოუ “პირველი სტუდია” ეთერში გადის ყოველ პარასკევს 22 საათზე. გადაცემის ქრონომეტრაჟია 120 წუთი. გადაცემის ავტორი და წამყვანია ეკა მიშველაძე. კვირის შემაჯამებელ გადაცემაში ჩართულია აუდიტორია, რომელიც მთავარ სტუმრებთან ერთად მონაწილეობს დისკუსიაში, სვამს შეკითხვებს და განსაზღვრავს თოქ-შოუში მრავალმხრივი პოზიციების წარმოდგენას. მაყურებელს საშუალება აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვაში უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა. თოქ-შოუ „პირველ სტუდიაში“ განიხილება კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური თემები. ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლების გარდა გადაცემაში მონაწილეობენ სხვადასხვა მიმართულების ექსპერტები, არასამთავრობო სექტორის და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

საანგარიშო პერიოდში პირველ სტუდიაში გაშუქდა როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა. მათ შორის: მთავრობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები, იური ვაზაგაშვილის საქმე და გახმაურებული საქმეების გამოძიება. ლარის კურსი და სავალუტო კრიზისის ფონზე ქვეყანაში შექმნილი ვითარება, უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის არჩევა და მიმდინარე კონსულტაციები. ბრალდებები დედაქალაქის მერის მისამართით და დავით ნარმანიას არგუმენტები. აირაის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები და საზოგადოების განწყობების ანალიზი. ასევე, ქვეყნის საგარეო კურსი და მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები.

საანგარიშო პერიოდში (იანვარი, თებერვალი, მარტი) პირველ სტუდიაში მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე არაერთხელ გაიმართა დებატები საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის. გადაცემის წამყვანის შეკითხვებს პასუხობდნენ როგორც სხვადასხვა სამინისტროს პირველი პირები და დეპუტატები, მათ შორის: პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, დედაქალაქის მერი დავით ნარმანია, უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე, სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე, ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური, მანანა კობახიძე, გიორგი ბარამიძე, დეპუტატები, ლევან ბეჟაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი ირაკლი სესიაშვილი, ეკა ბესელია, პავლე კუბლაშვილი და

სხვა. გადაცემაში სტუმრად იყვნენ ოპოზიციური პარტიის ლიდერები - ირაკლი ალასანია, ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი, არასამთავრობო სექტორის წევრები და ექსპერტები. პირველ სტუდიაში ამ პერიოდში წარმოდგენილი იყო ყველა ის საკითხი, რომელიც აქტუალური იყო საზოგადოებისთვის.

## გადაცემა „რეალური სივრცე“

გადაცემა „რეალური სივრცე“

წამყვანი : ნინო ზაუტაშვილი

8/01/2015 – 26/3/2015

**მეთხუთმეტე ეპიზოდი**

**ეთერში გასვლის დრო:** 8.01.2015

**თემა:** სამი სოფელი გურიაში გზის გარეშე

**მოკლე ანოტაცია:** დიდი ვანი, ზემო სურები და შუა სურები - სამი სოფელი გურიაში გზის გარეშე. 2000 კომლიდან დარჩენილი 150 ოჯახის ცხოვრება "რეალურ სივრცეში".

**სტუმრები:** ოთარ კონჯარია - თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;
ირაკლი კუჭავა - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარე;
თემურ ჭკუასელი - ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში;
ავთანდილ დვალიშვილი - "ენერგოპროჯორჯიას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი;
გიორგი კეკელიძე - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი;
მაია ბარამიძე - საინიციატივო ჯგუფის წევრი

**მეთექვსმეტე ეპიზოდი**

**ეთერში გასვლის დრო:** 15 იანვარი, 2015

**თემა:** "პანორამა თბილისი" - ბოლო პერიოდის ყველაზე სადავო არქიტექტურული პროექტი
**მოკლე ანოტაცია:** ყველა დაინტერესებული მხარე ერთ სივრცეში - "პანორამა თბილისის" შეცვლილი პროექტის პრეზენტაცია და მისი საჯარო განხილვა პირველი არხის ეთერში.

**სტუმრები:** გიორგი ლილუაშვილი - კომპანია "ოლდ სითი დეველოფმენთის" დირექტორი;

ირაკლი ქარსელაძე - კომპანია "ოლდ სითი დეველოფმენთის" პროექტების დირექტორი;
მალხაზ ჯეირანაშვილი - კომპანია "ოლდ სითი დეველოფმენთის" მთავარი არქიტექტორი;
გრიგოლ კაკაურიძე - ეკონომიკის სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი;
მანანა ქოჩლაძე - გარემოსდაცვითი ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივას" ხელმძღვანელი;
თამარა ამაშუკელი - ხელოვნებათმცოდნე;
ცირა ელისაშვილი - "ტფილისის ჰამქარის" გამგეობის წევრი;
ალეკო ელისაშვილი - თბილისის საკრებულოს დეპუტატი;
გიორგი მეძმარიაშვილი - არქიტექტორი;
გიორგი მარგიშვილი - არქიტექტორი;
ირაკლი მურღულია - ურბანისტი;
ზურა ბაქრაძე - ქალაქგეგმარების სპეციალისტი;
გუგა კოტეტიშვილი - მხატვარი;
სულხან სალაძე - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი;
დავით უთმელიძე – თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-კონსერვატორების" თავმჯდომარე;
სოსო მანჯავიძე – თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი;
ნინო ღოღობერიძე – თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

**მეჩვიდმეტე ეპიზოდი**

**ეთერში გასვლის დრო:** 22 იანვარი, 2015

**თემა:** მიწისქვეშა ქალაქი, რომელიც მიწის ზემოთ საფრთხეს ქმნის
**სტუმრები:** ირინა ჭეიშვილი - მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

ჰამლეტ ჟიჟიაშვილი - მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

კოტე გაბრიჩიძე - ჯავახიშვილის ქუჩაზე მცხოვრები;

თამუნა წულუკიძე - ჯავახიშვილის ქუჩაზე მცხოვრები;

მერაბ გონგაძე - გეომორფოლოგი;

ედიშერ კაცაძე - ინჟინერ-გეოლოგი;

გუგა ჭოხონელიძე - გეოდეზისტი;

ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობის "დედამიწის მეგობრები" თანათავმჯდომარე;

ნანა ცომაია - ქალაქ-პროექტის დირექტორი;

სოფო შიოშვილი - პერტიაშვილის ქუჩაზე მცხოვრები;

ნინო ბუხაიძე - მიცკევიჩის ქუჩაზე მცხოვრები;
ვასო კაჭარავა - ცინცაძის ქუჩაზე მცხოვრები;
ომარ გოცირიძე - კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" ტექნიკური დირექტორი;
ირინა მჭედლიძე - ყაზბეგის გამზირზე მცხოვრები
მაია ხანიაშვილი - პეკინის გამზირის მცხოვრები.

**მეთვრამეტე ეპიზოდი**

**ეთერში გასვლის დრო:** 29 იანვარი, 2015

**თემა:** მუყაოს "ოცნების ქალაქი"

**სტუმრები:** ციალა ქათამიძე - ორგანიზაცია “ბორჯღალოს” აღმასრულებელი დირექტორი;
რამაზ ჯინჭარაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
დიმიტრი გაფრინდაშვილი - განსახლებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამაზ ბაკურიძე - უფლებადამცველი;
ნუგზარ აბულაძე - ეკომიგრანტი აჭარიდან;
მაია ბოლქვაძე - მრავალშვილიანი დედა;
მარინა ბერიძე - მუყაოს “ოცნების ქალაქში” მცხოვრები;

**მეცხრამეტე ეპიზოდი**

**ეთერში გასვლის დრო:** 5 თებერვალი, 2015

**თემა:** ვის ვანდობთ ბავშვის აღზრდას

**სტუმრები:** ნატა მეფარიშვილი - ბავშვთა ფსიქოლოგი; მაია ცირამუა - ბავშვთა ფსიქოლოგი;
მაია ხერხეულიძე - პედიატრი; თეონა ცხომელიძე - ჟურნალისტი; ნინო აბაიშვილი - მშობელი; მარინა კიკნაძე - სააგენტო "თაბუნის" ექიმი-კონსულტანტი; ლია კანდელაკი - სააგენტო "კანდელის" დირექტორი; მარიამ გივიშვილი - სააგნეტო "ნენის" დირექტორი; სალომე ვაჩნაძე - მშობელი; ანკა სტურუა - მშობელი; ირინა საყვარელიძე - მშობელი; მანანა ბზიკაძე - ძიძა; ნინო კუპრაძე - ძიძა;

**მეოცე ეპიზოდი**

**ეთერში გასვლის დრო:** 12 თებერვალი, 2015

**თემა:** შრომის უსაფრთხოება და სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა ცხოვრება

**მოკლე ანოტაცია:** 314 გარდაცვლილი და 565 დაშავებული 8 წლის განმავლობაში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. შრომის უსაფრთხოება და სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა ცხოვრება "რეალურ სივრცეში".

**სტუმრები:** ელზა ჯგერენაია - ჯანდაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თამაზ დოლაბერიძე - მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ხელმძღვანელი;
პაატა ბელთაძე - სახალხო დამცველის მოადგილე;
ლინა ღვინიანიძე - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის იურისტი;
პაატა სამხარაძე - ჭიათურის მაღაროელთა პროფკავშირის თავმჯდომარე;
ამირან ზენაიშვილი - ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი;
მურთაზ ჟღენტი - დაზარალებულის მამა;
ავთო მირუაშვილი - რკინიგზელი;
მარინა კურტანიძე - მშენებელთა და ტყის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე;
გურამ ხურციძე - მშენებელთა და ტყის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე;
ნიკა კაკაშვილი - საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირის შრომის ტექნიკური და სამართლებრივი დაცვის სპეციალისტი;
ვალერი ალავერდაშვილი - მეტალურგი რუსთავიდან;
კობა ბიწაძე;
გოჩა ალექსანდრია - საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე;
ვიტალი გიორგაძე - "საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის" თავმჯდომარე;
ჯუმბერ კენჭოშვილი - დაზარალებული ჭიათურის მაღაროდან;
მზია სამხარაძე - დაზარალებულის მეუღლე;

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

**ოცდამეერთე ეპიზოდი**

**ეთერში გასვლის დრო:** 19 თებერვალი, 2015

**თემა:** ქვეითებისა და მძღოლების სივრცე

**სტუმრები:** ზურა ბეჟაშვილი - ავტომრბოლელი;
დემურ კვირიკაშვილი - თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის განყოფილების უფროსი;
გოჩა ბაბუნაშვილი - თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან მაჭავარიანი - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
ნინო ღოღობერიძე - თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი;
ელენე მარგველაშვილი - ორგანიზაციის "იარე ფეხით" დამაარსებელი;
ეკა ლალიაშვილი - "საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის" გამგეობის თავმჯდომარე;
ლიკა მერაბიშვილი - ფონდი "პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის" პროექტების კოორდინატორი;
ნიკა გებალაია - კომპანია "ჯეოვიას" დირექტორი;
გიორგი ბაბუნაშვილი - არასამთავრობო ორგანიზაციის "თბილისის ტრამვაი" წარმომადგენელი;
ვასო ურუშაძე - კოალიციის "საზოგადოებრივი ინიციატივა" წარმომადგენელი;
რატი იონათამიშვილი - თბილისის მერიის შშმ პირთა საბჭოს თავმჯდომარე;
გურამ რუხაძე - ველოსიპედისტი;
თემო ქეშელაშვილი - ფსიქოლოგი;
ნინი რთველიაშვილი - ორგანიზაციის "იარე ფეხით" აქტივისტი;
ხათუნა გველესიანი - ორგანიზაციის "იარე ფეხით" პროექტის კოორდინატორი.

**ოცდამეორე ეპიზოდი**

**ეთერში გასვლის დრო:** 26 თებერვალი, 2015

**თემა:** საზოგადოება და ლარი

**მოკლე ანოტაცია:** ხელისუფლების, საბანკო სექტორის, ბიზნესისა და მოსახლეობის ახალი რეალობა და მისი დაძლევის გზები; საზოგადოება და ლარი "რეალურ სივრცეში".

**სტუმრები:** ირაკლი ასლანიშვილი - საქართველოს ბიზნესასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
მიშა ჭელიძე - მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაციის თავმჯდომარე;
ნინო ზამბახიძე - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე;
ვანო მთვრალაშვილი - ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის" თავმჯდომარე;
ირაკლი როსტომაშვილი - მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი;
მერაბ კაკულია - ეროვნული ბანკის ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, პროფესორი;
გიორგი ბაქრაძე - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველი;
ირაკლი ლექვინაძე - ეკონომისტი;
რომან ბენდელიანი - "უნივერს ბიზნეს გრუპი";
ზაზა ღარიბაშვილი - "უნივერს ბიზნეს გრუპი";
გიორგი ცუცქირიძე - საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
დათო კილაძე - GPC-ის დირექტორი;
ამირან ხახიშვილი - ფერმერი;

**ოცდამესამე ეპიზოდი**

**ეთერში გასვლის დრო:** 5 მარტი, 2015

**თემა** :დიასახლისებად ქცეული ბავშვების ცხოვრება - ქორწინება ადრეულ ასაკში

**სტუმრები:** ლელა ბაქრაძე - გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი;
მაია ბარქაია - გენდერის მკვლევარი;
დარო სულაკაური - ფოტოგრაფი;
მაია ქურციკიძე - გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისის კომუნიკაციების პროგრამის ხელმძღვანელი;
მარი წერეთელი - მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი;
ლაშა ვერულავა - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების დეპარტამენტის დირექტორი;

ლია გიგაური - განათლების მინისტრის მოადგილე;
არსენ გვენეტაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
იაგო კაჭკაჭიშვილი - სოციოლოგი;
ეკა სხილაძე - სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი;
ვაჟა ბარამიძე - მარნეულის ავერსის კლინიკის მეან-გინეკოლოგიური სამსახურის უფროსი;
ლიკა ბარაბაძე - ფსიქოლოგი;
ნათია შიბიდიროვი - ციხისძირის საჯარო სკოლის მასწავლებელი;
მარიამ ქარდავა - ციხისძირის საჯარო სკოლის მოსწავლე;
გელა მთივლიშვილი - კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი;

**ოცდამეოთხე ეპიზოდი**

**ეთერში გასვლის დრო:** 12 მარტი, 2015

**თემა:** იპოთეკა - გადაუხდელი ვალით ცხოვრება

**მოკლე ანოტაცია:** სხვადასხვა მიზეზით აღებული და ვეღარდაბრუნებული სესხების სანაცვლოდ დაკრგული წარსული, აწმყო და მომავალი. გადაუხდელი ვალით ცხოვრება "რეალურ სივრცეში"

**სტუმრები:** გიორგი ცუცქირიძე, საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
დავით კიკვიძე - "ბანკები და საზოგადოება" საბანკო პროდუქტების ექსპერტი;
ასლან ფაღავა - ფინანსისტი, "მომავლის გზა";
მამუკა მდინარაძე - "ადვოკატთა ალიანსის" დირექტორი;
ნათია ბოკუჩავა - "ადვოკატთა ალიანსის" იურისტი;
ლევან კალანდაძე - ეკონომისტი;
ლენა შენგელია - პენსიონერი;
დარინა ლომინაძე - "იბერიელთა კავშირის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;
ირაკლი ღლონტი -"რეფორმატორები";
ლევან ხაჭაპურიძე - "იბერიელთა კავშირის" თავმჯდომარე;
ნანი შარაბიძე, მადლენა ქარდავა - დაზარალებულები.

**ოცდამეხუთე ეპიზოდი**

**ეთერში გასვლის დრო:** 19 მარტი, 2015

**თემა:** ცხოვრება მოხუცებულთა თავშესაფარში
**მოკლე ანოტაცია:** ხანდაზმულების ცხოვრება "რეალურ სივრცეში"

**სტუმრები:** უჩა ვახანია - კოალიციის "შინმოვლა საქართველოში" დირექტორი
გელა ჩივიაშვილი - თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოც. მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი;
თათია გვარამაძე - ჯანდაცვის სამინისტროს პენსიისა და სოციალური დახმარების სამმართველოს უფროსი;
მარინა დარახველიძე - ჯანდაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; დარეჯან თომაძე - თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის დირექტორი;
თამარ ბუჩუკური - პანსიონატის ფსიქოლოგი;
მარინა ბერშუკოვა - მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა თავშესაფარი;
მაია ახალაძე - მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატის დირექტორი;
გურამ კიკნაძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
გივი ჯავაშვილი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
იოსებ აბესაძე - ონკოპრევენციის ცენტრის დირექტორი;
ლალი ზაუტაშვილი - არასამთავრობო ორგნიზაციის "ადამიანი და ბუნება" დირექტორი;
ირინა კლდიაშვილი - "საქართველოს სამარიტელთა კავშირი";
ნათია ფარცხალაძე - საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარე.

**ოცდამეექვსე ეპიზოდი**

**ეთერში გასვლის დრო:** 26 მარტი, 2015

**თემა:** "თოჯინები აღარ იცინიან"
**მოკლე ანოტაცია:** თოჯინების თეატრების მდგომარეობა და პერსპექტივა დღევანდელ საქართველოში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

**სტუმრები:** ლევან გაბრიჭიძე - ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი;
თემურ ბარდაველიძე - ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების თეატრის დირექტორი;
ელენე მაცხონაშვილი - თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი;
თემურ ბადრიაშვილი - თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების თეატრის დირექტორი:
ნინო ნადირაძე - გურჯაანის თოჯინების თეატრის დირექტორი;
გივი ტაბახმელაშვილი - გურჯაანის თოჯინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი;
მეგი ცუცქირიძე - აფხაზეთის თოჯინების თეატრის დირექტორი;
მედეა ჩარკვიანი - ბათუმის თოჯინების თეატრის დირექტორი;
ვახტანგ ქორიძე - ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი;
ზაზა თამარაშვილი - ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
მირანდა კუპრავა - ქალაქ ქუთაისის მუნიცილაპიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი;

## გადაცემა „ჩვენი დილა“

პირველი კვარტლის განმავლობაში პროგრამის „ჩვენი დილა“ ეთერში გაშუქებული პრიორიტეტული მიმართულებები

- სოციალური პრობლემები - 60- მდე აქტივობა
- კულტურულოგიური თემები - 60-მდე აქტივობა
- ადამიანს უფლებები - 60 ზე მეტი აქტივობა
- საგანმანათლებლო საკითხები - 60-ზე მეტი აქტივობა
- ფსიქოლოგიური თემები (სხვადასხვა საზოგადოებისთვის აქტუალური ცხოვრებისეული სიტუაციების გათვალისწინებით) 60-მდე აქტივობა
- ოჯახური ძალადობის პრობლემები - 20-მდე აქტივობა
- გენდერული საკითხები - 10-მდე აქტივობა
- რეგიონში არსებული პრობლემები/საკითხები
- სკოლამდელი ბავშვების პრობლემები/საკითხები
- საქველმოქმედო ღონისძიებები
- ეროვნული უმცირესობები
- და სხვა მნიშვნელოვანი და საზოგადოებისთვის საინტერესო თემები

ამას გარდა:

პროგრამაში ინტეგრირებული იყო შემდეგი მიმართულებები:

ტელე პორტრეტი - პორტრეტული ტიპის ინტერვიუში მაყურებელს საშუალება აქვს შეხვდეს მისთვის კარგად ნაცნობ და ნაკლებად ცნობილ ადამიანებს. მოისმინოს და გაიზიაროს საინტერესო ადამიანების ზოგადი ღირებულები და ცხოვრებისეული გამოცდილება.

მუსიკალური ბლოკი - გადაცემას დაემატა მუსიკალური ბლოკი, რომელსაც უძღვება წამყვანი ლადო ტატიშვიილი. პროგრამის ამ ნაწილში ლადო ტატიშვილი ყოველდღიურად მაყურებელს მოუთხრობს ამა თუ იმ მუსიკალური კომპოზიციისა თუ ავტორის შესახებ, საინტერესო ფაქტებსა და სიახლეებს. რუბრიკის სტუმრები დილიდან ზრუნავენ მაყურებლის განწყობის ამაღლებაზე.

ამოუცნობი და საინტერესო მოვლენები - გადაცემის ეს ნაწილი ეთმობა საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე და აღმოჩენილი საინტერესო და უცნაური მოვლენების და ფაქტების მაყურებლისთვის გაზიარებას.

რჩევები - გადაცემის ეს სეგმენტი ორიენტირებულია საზოგადოებას მისცეს საჭირო და სასარგებლო რჩევები სხვადასხვა მიმართულებით. რუბრიკის მთავარი ამოცანაა მაყურებელს მივაწოდოთ ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც პასუხობს კითხვას - „ როგორ“?

სპორტის მიმოხილვა - გადაცემაში ყოველდღიურად კეთდება სიუჟეტები როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ სპორტის სფეროს მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

ხალხური მედიცინა - მაყურებელი იღებს რჩევებს, ხალხური მეთოდებით მკურნალობის შესახებ.

ბენდი - გადაცემაში მოვახდინეთ ბენდის ინტეგრაცია. ბენდი დილიდან ზრუნავს 1 არხის მაყურებლის განწყობის ამაღლებაზე.

საბავშვო ბლოკი - წარმოდგენილია 12 წუთიანი მულტფილმის ჩვენებით.

დინამიური, მორბენალი და სტატიკური პლაშკების მესვეობით მაყურერბელს საშუალება ქონდა თვალი ედევნებინა შემდეგი ინფორმაციისთვის :

- ეს დღე ისტორიაში
- უფასო, იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და აშ. ცხელი ხაზის საკონტაქტო ინფორმაცია
- მატარებლების, თვითმფრინავების განრგი
- სიუჟეტის/ სტუმრის საუბრის მოკლე ანოტაცია
- ჰოროსკოპი
- აფიშა

Promotion სოციალური მედიის საშუალებით - ინტერნეტ მომხმარებელს საშუალება ჰქონდა მიეღო მიიღოს განახლებადი ინფორმაცია შემდეგი მიმართულებით:

- გადაცემის/ კონკრეტული სიუჟეტის ანონსი (ერთი დღით ადრე)
- გადაცემის/ კონკრეტული სიუჟეტის ანონსი (ეთერში გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე
- გადაცემის სრული ვიდეო ვერსია
- გადაცემაში გასული სიუჟეტების ვიდეო ვერსია
- გადაცემაში მოწვეული სტუმრების ვიდეო ვერსია

გადაცემის ფეისბუქის გვერდის საშუალებით მომხმარებელს საშუალება აქვს:

- ჩაერთოს ინტერაქტიულ გამოკითხვებში
- დასვას კითხვები
- მოგვაწოდოს მოსაზრებები/შენიშვნები

Promotion ტელემაუწყებლობის საშუალებით - ყოველდღიურად ვამზადებდითთ გადაცემის ანონსს ძირითადი, საკვანძო თემების შესახებ მაყურებლის ინფორმირების მიზნით. ანონსი ერთი დღით ადრე, საღამოს 5 საათის შემდეგ მუდმივად ტრიალებს 1 არხის ეთერის პრაიმ თაიმში.

Cross Promotion - Cross Promotion-ის გაძლიერების მიზნით აქტიურად ვითანამშრომლეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა ქვედანაყოფთან. პერმანენტულად ვაშუქებდით:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტივობებს
- 1 არხის სხვა გადაცემების/აქტივობებს.
- 2 არხის აქტივობებს
- საზოგადოებრივი რადიოს აქტივობებს

რუბრიკაში -„პორტრეტი“ კვირაში ერთხელ ვიწვევთ საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებს ( წამყვანებს; მენეჯერებს და აშ.) მათი პოპულარიზაციის მიზნით

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

## გადაცემა „სადილის დრო“

კულინარიული შოუ პირველი არხის ეთერში, საინტერესო რჩევებით, ორიგინალური რეცეპტებით და ხალისიანი სტუმრებით ყოველ დღე სადილის დროს ხვდება მაყურებელს. მაყურებელი სწავლობს სადილის მომზადების ახალ მეთოდებს და იგებს საინტერესო ისტორიებს.

„სადილის დრო“ ვახო კანდელაკთან ერთად ყოველ დღე, 12:30 საათზე გადის ეთერში.

ყოველ დღე გადაცემაში ინტეგრირებულია რჩევები სიუჟეტის სახით, რომელიც მაყურებელს ამა თუ იმ პროდუქტის შეძენისას არჩევანის გაკეთებას გაუადვილებს. სიუჟეტში განხილულია მოსამზადებელი კერძის ერთერთი ინგრედიენტის არჩევის პრინციპები.

Promotion სოციალური მედიის საშუალებით - ინტერნეტ მომხმარებელს საშუალება აქვს მიიღოს განახლებადი ინფორმაცია შემდეგი მიმართულებით:

- გადაცემის/ კონკრეტული სიუჟეტის ანონსი (ერთი დღით ადრე)
- გადაცემის/ კონკრეტული სიუჟეტის ანონსი (ეთერში გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე
- გადაცემის სრული ვიდეო ვერსია
- გადაცემაში გასული სიუჟეტების ვიდეო ვერსია
- გადაცემაში მოწვეული სტუმრების ვიდეო ვერსია

გადაცემის ფეისბუქის გვერდის საშუალებით მომხმარებელს საშუალება აქვს:

- ჩაერთოს ინტერაქტიულ გამოკითხვებში
- დასვას კითხვები
- მოგვაწოდოს მოსაზრებები/შენიშვნები

Promotion ტელემაუწყებლობის საშუალებით - ყოველდღიურად ვამზადებთ გადაცემის ანონსს ძირითადი, საკვანძო თემების შესახებ მაყურებლის ინფორმირების მიზნით. ანონსი ერთი დღით ადრე, საღამოს 5 საათის შემდეგ მუდმივად ტრიალებს 1 არხის ეთერის პრაიმ თაიმში.

Cross Promotion - Cross Promotion-ის გაძლიერების მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობთ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა ქვედანაყოფთან. მუდმივად ვაშუქებთ:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტივობებს
- 1 არხის სხვა გადაცემების/აქტივობებს.
- 2 არხის აქტივობებს
- საზოგადოებრივი რადიოს აქტივობებს

რუბრიკაში -„პორტრეტი“ კვირაში ერთხელ ვიწვევთ საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებს ( წამყვანებს; მენეჯერებს და აშ.) მათი პოპულარიზაციის მიზნით.

## პირადი ექიმი - მარი მალაზონია

- ყოველ ორშაბათს Skype-ს საშუალებით გადაცემაში ერთვებიან საქართველოს საზღვრებს გარეთ მომუშავე ექიმები, რომლებიც თავიან გამოცდილებას უზიარებენ მაყურებელს

- ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს ეთერში გადის მაყურებლის მიერ გამოგზავნილი ვიდეო კითხვები, რომელსაც მოწვეული სტუმრები პირდაპირ ეთერში პასუხობენ

- ყოველ ოთხშაბათს გადაცემაში მოწვეულნი არიან სამედიცინო პროფილის სტუდენტები, რომლებიც საუბრობენ სხვადასხვა აქტუალურ თემებზე და სვამენ კითხვებს, რომელსაც მოწვეული ექსპერტები/ექიმები პირდაპირ ეთერში პასუხობენ.

- ყოველ პარასკევს მარი მალაზონია მოწვეულ სტუმრებთან ერთად აწყობს კონსილიუმს ერთ კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით. კონკრეტული ქეისი მომზადებულია სიუჟეტის სახით.

- Promotion სოციალური მედიის საშუალებით - ინტერნეტ მომხმარებელს საშუალება აქვს მიიღოს განახლებადი ინფორმაცია შემდეგი მიმართულებით:

- გადაცემის/ კონკრეტული სიუჟეტის ანონსი (ერთი დღით ადრე)

- გადაცემის/ კონკრეტული სიუჟეტის ანონსი (ეთერში გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე

- გადაცემის სრული ვიდეო ვერსია

- გადაცემაში გასული სიუჟეტების ვიდეო ვერსია

- გადაცემაში მოწვეული სტუმრების ვიდეო ვერსია

გადაცემის ფეისბუქის გვერდის საშუალებით მომხმარებელს საშუალება აქვს:

- ჩაერთოს ინტერაქტიულ გამოკითხვებში

- დასვას კითხვები

- მოგვაწოდოს მოსაზრებები/შენიშვნები

Promotion ტელემაუწყებლობის საშუალებით - ყოველდღიურად ვამზადებთ გადაცემის ანონსს ძირითადი, საკვანძო თემების შესახებ მაყურებლის

ინფორმირების მიზნით. ანონსი ერთი დღით ადრე, საღამოს 5 საათის შემდეგ მუდმივად ტრიალებს 1 არხის ეთერის პრაიმ თაიმში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

## გადაცემა „სამოთხის ვაშლები“

კვარტლის განმავლობაში გადაცემის „ სამოთხის ვაშლები“ ეთერში გაშუქებული პრიორიტეტული მიმართულებები :

- კულტურულოგიური თემები
- საგანმანათლებლო საკითხები
- ადამიანს უფლებები
- ფსიქოლოგიური თემები (სხვადასხვა საზოგადოებისთვის აქტუალური ცხოვრებისეული სიტუაციების გათვალისწინებით)
- ოჯახური ძალადობის პრობლემები
- გენდერული საკითხები
- ეროვნული უმცირესობები
- და სხვა მნიშვნელოვანი და საზოგადოებისთვის საინტერესო თემები

ამასთან კვარტლის განმავლობაში სამოთხის ვაშლების მაყურებელს საშუალება აქვს შეხვდეს მისთვის კარგად ნაცნობ და ნაკლებად ცნობილ ადამიანებს. მოისმინოს და გაიზიაროს საინტერესო ადამიანების ზოგადი ღირებულები და ცხოვრებისეული გამოცდილება.

ერთერთ პრიორიტეტულ ნაწილს კვლავ წარმოადგენს კულტურულოგიური და საგანმანათლებლო სფეროს პოპულარიზაცია. ამ მიზნით გადაცემაში მუდმივად ინტეგრირებულია კულტურულოგიური და საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები.

Promotion სოციალური მედიის საშუალებით - ინტერნეტ მომხმარებელს საშუალება აქვს მიიღოს განახლებადი ინფორმაცია შემდეგი მიმართულებით:

- გადაცემის ანონსი (ერთი დღით ადრე)
- გადაცემის ანონსი (ეთერში გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე)
- გადაცემის სრული ვიდეო ვერსია
- გადაცემაში გასული სიუჟეტების ვიდეო ვერსია
- გადაცემაში მოწვეული სტუმრების ვიდეო ვერსია

საზოგადოებრივი მაუწყებელი
GEORGIAN PUBLIC BROADCASTER
GPB.GE

გადაცემის ფეისბუქის გვერდის საშუალებით მომხმარებელს საშუალება აქვს:

- ჩაერთოს ინტერაქტიულ გამოკითხვებში
- დასვას კითხვები
- მოგვაწოდოს მოსაზრებები/შენიშვნები

Promotion ტელემაუწყებლობის საშუალებით - ყოველდღიურად ვამზადებთ გადაცემის ანონსს მთავარი სასაუბრო თემების შესახებ მაყურებლის ინფორმირების მიზნით. ანონსი ერთი დღით ადრე, საღამოს 5 საათის შემდეგ მუდმივად ტრიალებს 1 არხის ეთერის პრაიმ თაიმში.

Cross Promotion - Cross Promotion-ის გაძლიერების მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობთ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა ქვედანაყოფთან. მუდმივად ვაშუქებთ:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტივობებს
- 1 არხის სხვა გადაცემების/აქტივობებს.
- 2 არხის აქტივობებს
- საზოგადოებრივი რადიოს აქტივობებს

# გადაცემა ,,ფერმა”

ქრონო - 26წთ.

სიხშირე - კვ-1

დროის სეგმენტი - კვირა, 12:30

მოკლე ანოტაცია

გადაცემის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, წარმოაჩინოს წარმატებული და დამწყები ფერმერები და მაყურებელს მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია აგრარულ სექტორში არსებულ სიახლეებზე, პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. გადაცემა შედგება 5 ბლოკისგან და ყოველი სეგმენტი ემსახურება სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ადამიანების სხვადასხვა კუთხით ინფორმირებას, ასევე, გადაცემის მიზანია სამიზნე ჯგუფებისთვის ექსპერტების რჩევების მიწოდება, თუ სად, რა, როგორ აწარმოონ და როგორ მიიღონ სასურველი შედეგი.

იანვარი

04.01.15. - არ გასულა ბადეში საახალწლო ცვლილებების გამო

11.01.2015 თემა- თხის მოშენება.

რეგიონი: თელავი, სოფ. შალაური.

პერსონალიები: ფერმერები, ცოლ-ქმარი ლევან ცაგურია და სოფო გორგაძე

18.01.2015 თემა-საახალწლო ნუგბარი - ჩურჩხელა და ფელამუში

რეგიონი - სიღნაღი, სოფ. ქვემო ანაგა

პერსონალიები: ნინო ბეგიაშვილი - გლეხური მეურნეობის მეპატრონე

25.01.2015. თემა - ვაზის გასხლვა, საოჯახო ღვინის წარმოება

რეგიონი - სიღნაღი სოფ. ნუკრიანი

პერსონალიები: ფარნაოზ ნატროშვილი - მევენახე

თებერვალი

01.02.15- თემა - სათბურები.

რეგიონი - თბილისი, ლისი

პერსონალიები: მაკა გოცირიძე, სათბური „ჰორა", ოჯახური ბიზნესი

8.02.15 - თემა - მეცხოველეობა

რეგიონი- ადიგენი, სოფ. არალი

პერსონალიები: ფერმერი პეტრე ფეიქრიშვილი

15.02.15. თემა - აგროტურიზმი

რეგიონი- გურჯაანი, სოფ. ველისციხე

პერსონალიები : ნუნუ კარდენახიშვილი პედაგოგი- ეთნოგრაფი

22.02.15. თემა - შერეული მეურნეობა- ძროხა, ცხვარი , ღორი

რეგიონი - სიღნაღის რაიონი, სოფ. ნუკრიანი

პერსონალიები: მარინა შალვაშვილი, ფერმერი

მარტი

01.03 15. თემა - მეფრინველეობის საჯიშე მეურნეობა- ქათამი, იხვი, მწყერი.

რეგიონი- მუხრანი

პერსონალიები: კოტე ჯაოშვილი-ფერმერი

ზურა მარსაგიშვილი-ფერმერი

0 8.03.15. თემა -საგაზაფხულო ხვნა-თესვა

რეგიონი- მარნეული, სოფ.წერეთელი

პერსონალიები: კახა ზურაბაშვილი- შპს „მექანიზატორის" მარნეულის სერვის ცენტრის მენეჯერი

ნიკო შუბითიძე - ფერმერი

შალვა კუპრაშვილი - სოფ.წერეთლის თემის რწმუნებული

საზოგადოებრივი მაუწყებელი

მაფიონა მიკირტიჩიანი - ფერმერი

15.03 15 თემა - ჩაის წარმოება

რეგიონი- გურია, სოფ.ნაგომარი, ჭიათურა

პერსონალიები -შოთა ბითაძე - ჩაის ტექნოლოგი

ვალერი კაპანაძე - მეჩაიე

დავით თენეიშვილი - ჩაის მწარმოებელი

22.03 15 თემა - ბიო მეურნეობა

რეგიონი - ოზურგეთი, სოფ. ლიხაური.

პერსონალიები: ბესო მჟავანაძე - ბიო ფერმერი

29.03.15. თემა - საკალმახე მეურნეობა

რეგიონი- ოზურგეთის რაიონი სოფ. ვაკიჯვარი

პერსონალიები: რევაზ ნიკოლეიშვილი- საკალმახეს მენეჯერი

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

## საბავშვო გადაცემა ,,ყოჩაღების ქუჩაზე“

გადაცემა - ,,ყოჩაღების ქუჩაზე“ - ყოველ შაბათ-კვირას დილის 10:30 საათზე.

ქრონ: 30 წუთი

ასაკობრივი ჯგუფი 3 დან 7 წლამდე

"ყოჩაღების ქუჩაზე" საბავშვო, შემეცნებით-გასართობი გადაცემაა. გადაცემის წამყვანი კეთილი და მხიარული კაპიტანი გოგიჩაა. მასთან ყოველ დილით თავს იყრიან ყოჩაღები და კეთილ საქმეებს აკეთებენ, ეხმარებიან ბავშვებს, უფროსებს, ცდილობენ დაიცვან წესები, გაუფრთხილდნენ ბუნებას, ცხოველებს.

კაპიტნის მეზობლად ცხოვრობს ბუა, ის ზარმაცი და მძინარაა, ყოჩაღების მხიარულად გატარებული დილა კი ძილს უფრთხობს, ამიტომ მუდმივად უწყობს ოინებს, რომ ხელი შეუშალოს მათ. თუმცა, მამაცი კაპიტანი ყოველთვის პოულობს გამოსავალს.

გადაცემა გაფორმებულია მუსიკალური ნომრებით.

ახალი ბინადარი

ყვავილი მზეკატერინე, მზეკატო, ყოჩაღების ქუჩის ახალი ბინადარია, მზეკატო ყოჩაღებს შაბათ- კვირას საინტერესო ამბებს ყვება, მოუსმინეთ მზეკატერინეს და გაიგეთ, რა ხდება ხმელეთზე, ცაში, ზღვებსა და ოკეანეებში, მან კოსმოსის ამბებიც კი იცის. მისი ნაამბობი დაგეხმარებათ ისწავლოთ, როგორ მოუაროთ ბუნებას.

ყოჩაღების ქუჩას ყოველ შაბათ- კვირას სტუმრობენ, ყოჩაღების ერთგული მეგობრები, მამალი-სოლიკო, ძაღლი- ბობო, ღორი-ფუშიკო და კატა-მიუ. ისინი ბავშვებთან ერთად დროს მხიარულად ატარებენ.

თითოეული გადაცემა თემატურია

გადაცემა შედგება რუბრიკებისაგან.

1.თამაშები (შემეცნებითი ან სპორტული)

2. ხელსაქმე

3. მუსიკალური ნომერი (თემატური - კოსტიუმირებული)

4.ანიმაციური გმირი მზეკატერინე საუბრობს ეკოლოგიურ თემებზე

## გადაცემა ,,სიტყვების თამაში“

წამყვანი: მარიკო ებრალიძე

გადაცემის ეთერში გასვლის დრო: ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით 19:30 საათზე

გასული გადაცემების რაოდენობა: 65 გადაცემა

„სიტყვების თამაში “ ეს არის გასართობ-ინტელექტუალური შოუ, რომელშიც მონაწილეები ერთმანეთს სიტყვების შედგენაში ეჯიბრებიან. ყოველივე ეს კი, ქართული ენის პოპულარიზაციას უწყობს ხელს: აცოცხლებს მივიწყებულ ქართულ სიტყვებს, განმარტავს ხშირად ჩვენთვის უცნობ სიტყვებს; ავლენს სალაპარაკო ენაში დამკვიდრებულ არასწორ ფორმებს და მაყურებელს მათ სწორ გამოყენებას ასწავლის. ასევე თამაშ-თამაშით მაყურებელი იმახსოვრებს თუ რომელი სიტყვები ითვლება ბარბარიზმებად და რომელი უცხო სიტყვებია უკვე ადაპტირებული ქართულ ენაში.

თუმცა, ეს არ არის თამაში, რომლის მოგებაც მხოლოდ მონაწილეების ინტელექტზეა დამოკიდებული. ეს არის შოუ, სადაც თითითოეული სიტყვა ფულით ფასდება. ეს მოთამაშეებისგან დამატებით უნარებს მოითხოვს, თამაშს კი, კიდევ უფრო დაძაბულს, აზარტულსა და საინტერესოს ხდის. მოთამაშები მოგება საშუალოდ 250 ლარს, მაქსიმუმ კი -1000 ლარს წარმოადგენს.

პროექტის კონსულტანტია ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და თამაშის პროცესში აქტიურად არის ჩართული მათი წარმომადგენელი - ენათმეცნიერი, პროფესორი - თამარ ვაშაკიძე.

2015 წლის პირველ კვარტალში 65 გადაცემა მომზადდა. გადაცემის სტუმრები იყვნენ როგორც საზოგადოებისათვის ცნობილი სახეები: მომღერლები, მსახიობები, წამყვანები, კომენტატორები და სპორტსმენები; ასევე საზოგადოებისათვის უცნობი ადამიანები, რომელთა შერჩევაც მათივე გამოგზავნილი აპლიკაციების მიხედვით ხდებოდა.

გადაცემაში ორჯერ (2 და 7 იანვარს) მონაწილეობდნენ ბავშვები, ვეროვიზია 2012 წლის მონაწილე ჯგუფის „The Funkids”ის წევრები და გადაცემა „ყოჩაღების ქუჩის“ მონაწილეები. ასევე ბავშვებისათვის მომზადდა გადაცემა, რომელშიც მონაწილეობდნენ თოჯინები -ნიფნიფი, ნუფნუფი და რუხი მგელი. აღნიშნული

პერფორმანსი  გიორგი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობების მიერ დაიდგა.

3 თვის განმავლობაში თანხა მოიგო 50 მდე მოთამაშემ და სულ გათამაშდა 15 ათას ლარზე მეტი. აქედან მხოლოდ ექვსმა მონაწილემ მოიგო სუპერ პრიზი - 1000 ლარი.

2015 წლის პირველ კვარტალში გადაცემის სპონსორი გახლდათ ტოტალიზატორი „ევროპა ბეთი" და სწორედ ამ კომპანიამ აანაზღაურა მოგებული თანხები.

უცნობი მუსიკა

(2015 წლის I კვარტალის ანგარიში)

გადაცემის წამყვანები: კახა თოლორდავა და გიორგი ხადური

გადაცემის პროდიუსერი და რეჟისორი: თამარ ციციშვილი

გადაცემის ქრონომეტრაჟი: 1:30 სთ (±5)

გასული გადაცემების რაოდენობა: 11 გადაცემა

## გადაცემა ,,უცნობი მუსიკა“

 ,,უცნობი მუსიკა“ შემეცნებით-გასართობი პროექტია, რომლის ყურადღების ცენტრში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილი ისეთი მუსიკალური მოვლენებია, რომლებიც განსაზღვრავენ მუსიკალური კულტურის დღევანდელ სახეს. ვინაიდან ასეთი მუსიკა ხშირად მსმენელისაგან განსაკუთრებულ უნარებსა და ყურადღებას მოითხოვს, ის იშვიათად ხვდება ადგილობრივ ტელე თუ რადიო გადაცემებში და ის სწორედ “უცნობი” მუსიკის კატეგორიად აღიქმება.

მუსიკა უბრალო აკუსტიკური მოვლენა კი არა, არამედ სამყაროს აღქმისა და გაგებისათვის ერთ-ერთი აუცილილებელი იარაღია. მუსიკა საოზაგოდებებში მიმდინარე ცვლილებების ამსახველი მოვლენაა და ამის გამო ბევრი მნიშვნელოვანი კულტუროლოგი მიიჩნევს, რომ საზოგადობების შესწავალა ბევრად უფრო პროდუქტიულია ამ საზოგადობებში გაჩენილი აკუსტიკური კულტურების მეშვეობით, ვიდრე მათი ეკონომიკური და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით. „უცნობი მუსიკა“ სწორედ მსგავს პოსტულატებზე დაყრდნობით ვითარდება და ცდილობს გარკვევით დაანახოს თავის მაყურებელსა და მსმენელს, თუ როგორ როლს თამაშობდა და თამაშობს სხვადსხვა საზოგადოებებში გაჩენილი აკუსტიკური ფენომენები ამა თუ იმ საზოგადოების ჩამოყალიბებაში და როგორ გავლენას ახდენს სხვადასხვა ტრეიტორიებზე გაჩენილი მუსიკალური კულტურები სხვა დანარჩენი საზოგადოებების მუსიკალურ და არა მხოლოდ მუსიკალურ მდგომაროებაზე.

2015 წლის სეზონი გადაცემაში „უცნობი მუსიკა“ ქართული მუსიკით გახსნა. პირველი გადაცემა 80-90-იანი წლების ქართულ როკზე მომზადდა და გადაცემის სტუმრები ჟურნალისტი ბიძინა მაყაშვილი და პუბლიცსიტი ლაშა გაბუნია იყვნენ.

2015 წლის I კვარტალში „უცნობი მუსიკამ“ მაყურებელს კარი გაუღო და შეიყვანა ისეთ უცნობ ტერიტორიაზე როგორიც არის ჩინურ, ინდურ და აფრიკულ მუსიკა.

 ინდურ მუსიკას ავტორებმა ორი გაადაცემა მიუძღვნეს. პირველ გადაცემაში ჩრდილოეთ ინდოეთის სასიმღერო ჟანრების ტრადიციები გააცნეს მაყურებელს და გადაცემის მეორე ნაწილში პანდიდტ ჯასრაჯის კონცერტი შესთავაზეს; მეორე გადაცემაში კი, უსტად ბისმილა ხანი და ბევრისთავის უცნობი მუსიკალურ ინსტრუმეტი შეჰნაი წარმოადგინეს.

პეკინური ოპერის ფენომენი „უცნობ მუსიკაში“ წამყვანებმა სტუმატრთან ლიუ ყანდარელ-კვანგვენთან ერთად განიხილეს და მეორე ნაწილში მაყურებელს შესთავაზეს ნაწყვეტი პეკინური ოპერიდან „მოგზაურობა დასავლეთში“ .

აფრიკულ მუსიკაზე სასუბროდ კი, გადაცემის ავტორებმა აფრიკანისტი და კუტუროლოგი ნიკოლაი სოსნოვსკი მოიწვიეს. სტუმარმა, რომელიც ახალი დაბრუნებული გახლდათ აფრიკიდან მაყურებელს ექსკლუზიური კადრები შესთავაზა მალის მუსიკაზე და ვრცლად ისაუბრა იმ ახლა სუბკულტურაზე, რომელიც მალის ტრეიტორიაზე ჩამოყალიბდა. „უცნობ მუსიკაში" ასევე შედგა პრემიერა დოკუმენტური ფილმისა „უკანასკნელი სიტყვა ომამდე". ფილმი 2011 წელს რეჟისორმა კაილი კრასკოუსკასიმ გადიაღო „უდაბნოს ფესტივალის" შესახებ, რომელიც აფრიკაში არსებული პოლიტიკური ვითარების შედეგად გაუქმდა.

ასევე 2015 წლის პირველ კვარტალში „უცნობმა მუსიკამ" მაყურებელს წარმოუდგინა კიტ ჯარეტის ტრიო, მუსიკოსი ჯონი მიტჩელი, ჯგუფი „The Clash". ასევე, მაყურებელს გააცნო გერმანელი ავანგარდისტი კომპოზიტორი კარლ ჰაინც შტოკჰაუზენი და მასზე სასაუბროდ მისივე მოსწავლე ქართველი მუსიკოსი, პიანისტი ნინო ჟვანია მოიწვია, გადაცემის მეორე ნაწილში კი, მაყურებელს წარმოუდგინა ნაწყვეტი ნაწარმოებიდან „ნათელი".

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GPB.GE

## გადაცემა „შეხვედრები მწერალთა სახლში“

გადაცემის ავტორი და წამყვანი: დავით მაღრაძე

პროდიუსერი: თამარ თავაძე
რეჟისორი: ნუგზარ ჩხაიძე

გადაცემის ქრონომეტრაჟი: 45 – 53 წთ

გადაცემა იწერება თბილისში, „მწერალთა სახლში“, მისამართი: ი.მაჩაბლის №13

ფორმატი: გადაცემის ავტორი და წამყვანი სტუმართან საუბრობს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან, საინტერესო და აქტუალურ თემებზე.

გადაცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა 2014 წ. 1 თებერვალს.

ეთერშია ყოველ შაბათს 22.00

2015 წ. 24 იანვრიდან 2015 წ. 28 მარტის ჩათვლით ეთერში გავიდა 10 გადაცემა, რომლის სტუმრები იყვნენ:

| № | სტუმარი | ეთერში გასვლის თარიღი |
|---|---|---|
| 1 | ნუკრი შოშიაშვილი<br>ისტორიკოსი | 24. 01.2015 |
| 2 | ლევან აბაშიძე<br>პოლიტიკური ეკონიმიკირს მაგისტრანტი | 31.01.2015 |
| 3 | გოგა ხაინდრავა<br>კინორეჟისორი | 07.02.2015 |
| 4 | გურამ  სულთანიშვილი<br>ფილოსოფოსი | 14.02.2015 |
| 5 | ვასილ მაღლაფერიძე<br>ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი | 21.02.2015 |
| 6 | კოკა გუნცაძე<br>საქ.რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე | 28.02.2015 |
| 7 | გია მურღულია<br>ფილოფოგიურ მეცნიერებათა დოქტორი | 7.03. 2015 |
| 8 | კახა კახიშვილი<br>სასჯელაღსრულებიდა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე | 14.03. 2015 |
| 9 | ივანე ამირხანაშვილი | 21.03. 2015 |

საზოგადოებრივი მაუწყებელი

| | | |
|---|---|---|
| | ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი | |
| 10 | ეთერ თათარაიძე<br>ფოლკლორისტი | 28.03.2015 |

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

## გადაცემა „ ჩვენი ეზო“

გადაცემა ეთერში გავიდა თებერვლიდან პირველ კვარტალში

გასული გადაცემებია:

1.თბილისი და უძველესი საკრავები-ეთერი 21 თებერვალი

გადაცემაში მოგითხრობთ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებზე, რომლებიცე თბილისში სახლდებოდნენ, სიყვარულისთვის მადლიერების ნიშნად, სიამოვნებით "ჩუქნიდნენ“" ამ საოცარ ქალაქს თავისი ისტორიული სამშობლოს ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს - ლიტერატურას, პოეზიას, მუსიკალურ საკრავებს...

გადაცემაში საუბარია უძველესი საკრავების ისტორიაზე,ძველ და თანამედროვე ოსტატებზე და შემსრულებლებზე.რესპონდენტები:-თინა ნარგილა-მუსიკოსი.,ლევან ვეშაპიძე-ეთნომუსიკოსი.,ქამანდარ ქარაევი-აშუღი.,ქეთევან ბაიაშვილი-საკრავების მუზეუმის დირექტორის მოადგილე

2.გერმანული კვალი ქართულ არქიტექტურაში და საქართველოში მცხოვრები გერმანელების ისტორია-ეთერი 28 თებერვალი

გადაცემაში მოგითხრობთ საქართველოში მცხოვრებ გერმანელებზე,მათ

წვლილზე საქართველოში სხვადასხვა დარგის განვითარებაში.,ცხოვრების წესზე.,გადაცემის რესპონდენტები: გარი აუგსტი-გერმანული სათვისტომო“აინუნგი“ს პრეზიდენტი., იდა შალი-პენსიონერი,საინტერესო კოლორიტული ქალბატონი.,ვლადიმერ ვოლობუევ-მაიერი-პულმონოლოგი.,.ოლივერ რაისნერი-ევროკავშირის პროექტების მენეჯერი

3. სამი ერის შვილის ,პოლონეთიდან საქართველოში გადმოსახლებული , ნახევრად პოლონელი მწერალი ქალის დაგნე იუელეს ტრაგიკული ,მისტიური ცხოვრების ისტორია- ეთერი 7 მარტი

გადაცემის რესპონდენტები:

ირინა კესკიული-„პოლონია“.,მაკა ფილინა. თსუ პროფესორი“პოლონია“ პრეზ.,დავით ხოშტარია არქიტექტურის ისტორიკოსი.,რაჟდენ კირვალიშვილი-რეჟისორი-

4.ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული საქართველოში-ეთერი 21 მარტი

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

რესპონდენტები: ლეილა ალიევა მირზა ფათალი ნახუნდოვის მუზეუმის დირექტორი.,ოქტაი ქაზუმოვი-ლიტერატორი.,თამარ ალიევი -პედაგოგი.,ფიდავატ გუსეინოვი.,გახრამან მუსაევი-ისტორიკოსი.,ლეილა ალიევი იურისტი.,

5.საქართველოში დაბადებული ცნობილი ადამიანები-ეთერი 28 მარტი

მათ მთელ მსოფლიოში იცნობენ.,უყურებენ მათ ფილმებს,

უსმენენ მათ მუსიკას, იხსენებენ მათ სპორტულ მიღწევებს,

მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ისინი საქართველოდან არიან.,რობერტ მამულიანი,მიქაილ ტარივერდიევი,ვიქტორ სანეევი-მათი შესახებ მოგითხრობთ გადაცემაში

რესპონდენტები: ირმა სოხაძე. მუსიკოსი. არტემ კირაკოზოვი-მწერალი, მუსიკოსი-ვაჟა აზარაშვილი-კომპოზიტორი., თამარ ბალავაძე-სპორტული კომენტატორი., რომან რურუა -ოლიმპიური ჩემპიონი.

## დოკუმენტური ფილმების სტუდია

დოკუმენტური ფილმების სტუდიაში 2015 წლის პირველ კვარტალში მომზადდა 10 ფილმი.

1. ფილმი ფილმზე „რეკორდი„ - 40 წლის შემდეგ

06.01.2015

დოკუმენტურ ფილმში ნაჩვენებია რეჟისორ გურამ პატარაიას მხატვრულ ფილმ - „რეკორდში" დაკავებული პროფესიონალი და არაპროფესიონალი მსახიობების დღევანდელი ცხოვრება. მსახიობები ერთმანეთს მდინარე ტეხურას პირას, ანუ იმ ადგილზე შეხვდნენ, სადაც „რეკორდის" ფინალური სცენაა გადაღებული. ერთმა-ერთმა პერსონაჟმა - ჯოტია ცაავამ, რომლს როლიც კობა ღვინიაშვილმა შეასრულა, კიდევ ერთხელ სცადა ქვის სროლაში რეკორდის დამყარება.

სცენარის ავტორი: მანან ხიდაშელი

რეჟისორი:ბესო გაფრინდაშვილი

2. ფიროსმანის „ნადირობა ინდოეთში" 20.01.2015

რამდენიმემილიონიანი ტილოს საიდუმლოებით მოცული ისტორია. დოკუმენტური ფილმი "ფიროსმანის ნადირობა ინდოეთში" ეხება ქართველი გენიალური თვითნასწავლი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის საზოგადეობისთვის სრულიად უცნობ ტილოს. ნახატის საიდუმლოებით მოცული ისტორია 30-იან წლებში იწყება, როდესაც საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა შეისყიდა ფიროსმანის უცნობი ნამუშევარი, რომელზეც მონადირე იყო გამოსახული. უკვე 50-იან წლებში მუზეუმში შევიდა კიდევ ერთი ნახატი, რომელზეც ინდოეთში ნადირობის სცენები იყო ასახული. ტილო დასახიჩრებული იყო, უხეშად ჰქონდა კიდეები მოჭრილი, გარკვეული ფრაგმენტებიც აკლდა. აღმოჩნდა, რომ მონადირის ფრაგმენტი, სწორედ ამ დიდი ტილოს ნაწილი იყო. მაგრამ ფერწერული ნამუშევარი, იმდენად იყო დაზიანებული, რომ მის აღდგენაზე მუშაობა მხოლოდ XXI საუკუნეში გახდა შესაძლებელი. ფილმში ნაჩვენები იქნება რესტავრაციის პროცესი, რომელიც შესაბამისი პირობების არარსებობის გამო ხშირად ფერხდება; პარალელურად იწარმოებს კვლევა - თუ ვინ აღმოაჩინა ტილო, როგორ მოხდა მისი დანაწევრება და როგორ მოაღწია ჩვენამდე. ფილმში ნაჩვენები იქნება ამ ხელოვნების ნიმუშის ისტორია დანაწევრებიდან - გამთლიანებამდე.

სეცნარის ავტორი ნინო კაკაურიძე

რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი

3. ღვინის მცველები 27.01.2015

ფილმი ეძღვნება ქართული ღვინის ქვევრში დაყენების ტრადიციას.

სცენარის ავტორი და რეჟისორი - გიორგი მოლოდინაშვილი

4. სახიფათო ზონა 37 წთ (დევდორაკი) 03.02.2015

2014 წლის 17 მაისს დილის 10 საათზე საქართველოს სამხედრო გზა 40 მეტრის სიმაღლისა და 20 მილიონი მეტრ კუბის ნაშალი გრუნტით გადაიკეტა. რუსეთთან დამაკავშირებელმა ერთადერთმა სატრანსპორტო კორიდორმა ფუნქციონირება შეწყვიტა. სულ რამოდენიმე წუთი გახდა საჭირო, რათა მყინვარწვერიდან მოწყვეტილ ყინულის მასას ქვეყანა კვლავ ორად გაეყო.

საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის ახალ დოკუმენტურ ფილმში სტიქიასთან ბრძოლის პერიპეტიებს შეეხება. მაყურებელი პირველად ნახავს სტიქიასთან ბრძოლის უპრეცენდენტო კადრებს. სტიქიის ეპიცენტრში მოხვედრილი ადამიანები თვითონ მოყვებიან თუ რა ხდებოდა სტიქიის პირველ წუთებში ახალი „საზღვრის“ იქით და აქეთ. მაყურებელი თავის თვალით იხილავს თუ რა გზა გაიარა 20 მილიონი მეტრ კუბის ქვა–ღორღის სანამ მთავარ მთავარ მაგისტრალს გადაკეტავდა.

სცენარის ავტორი ზაზა ჯღარკავა

რეჟისორი ლევან ადამია

5. ხელმწიფე 10.02.2015

დარჩეს თუ არა სტალინის ძეგლი დედათა მონასტრის ეზოში ?- ფილმის მთავარი კითხვა ერთი პატარა სოფლის მოსახლეობის კონფლიქტის საბაბია. ერთი მხრივ, მე-7 საუკუნის მაცხოვრის ამაღლების ტაძართან არსებული დედათა მონასტერი და მეორე მხრივ, ბელადის ძეგლი - შესაძლებელია, თუ არა მათი თანაარსებობა? როგორ გადაიქცა ეკლესია რელიგიასთან ბრძოლით განთქმული ბელადის თავშესაფრად? - როგორი ტიპის იდეოლოგიური კონფლიქტები ახასიათებს 21-საუკუნის საქართველოს მოსახლეობას? - ფილმის ავტორები ეძებენ პასუხებს ამ კითხვებზე.

საზოგადოებრივი მაუწყებელი
GEORGIAN PUBLIC BROADCASTER
GPB.GE

სცენარის ავტორი ნინო ჩუტკერაშვილი

რეჟისორი შალვა შენგელი

6. ხმა 12.02.2015

ფილმი ეძღვნება პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილეს

სცენარის ავტორები კახა თოლორდავა, ბიძინა მაყაშვილი

რეჟისორი ლევან კიტია

7. სატელეგრაფო ოკუპაცია 24.02.2016

ფილმი ეხება ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს გასაბჭოების ისტორიას. კერძოდ, ფილმში ნაჩვენებია ბოლშევიკური პარტიის ლიდერებსა და ბოლშევიკური პარტიის კავკასიის ბიუროს შორის არსებული საიდუმლო მიმოწერა, სადაც ჩანს, თუ როგორ ამზადებდა რუსეთი გასაბჭოების ოპერაციას.

გარდა ამისა, ფილმში ასახულია პირველი მსოფლიო ომის შემდგომი საერთშორისო მდგომარეობაც, რომლის მსხვერპლი გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

სცენარის ავტორი მიხეილ ბასილაძე

რეჟისორი ლევან ახობაძე

8. საერთაშორისო წმინდანი 17.03.2015

ქართველთა ნაწილისთვის სტალინის სახელი საფიცარია და ბელადის კრიტიკას პირად შეურაცხყოფად მიიჩნევს. ნაწილი პირიქით, სტალინს ლანძღავს და მიაჩნია, რომ მან კაცობრიობას მხოლოდ ბოროტება მოუტანა. მას აღმერთებენ, სძულთ, კამათობენ, თხზავენ ლეგენდებს. ფაქტი ერთია: ქართული საზოგადოების ცნობიერებაში სტალინს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რატომ უყვარს ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რატომ უყვარს ქართული საზოგადოებოს მნიშვნელოვან ნაწილს სტალინი და სადამდე შეიძლება მივიდეს ეს სიყვარული.

სცენარის ავტორები მიხეილ ბასილაძე ნინო კაკაურიძე

რეჟისორი ლევან ახობაძე

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

9. ,,ოქროს ბიჭები“ 24.03.2015

საფეხბურთო ისტორია იოსებ სტალინიდან - ნიკიტა ხრუშჩოვამდე. რატომ არ უნდოდა პარტიას თბილისის „დინამოს“ ჩემპიონობა და რა ხდებოდა ტაშკენტში 1964 18 ნოემბერს, ოქროს მატჩამდე და მატჩის შემდეგ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის ახალი დოკუმენტური ფილმი, უზბეკეთის დედაქალაქში ნახევარი საუკუნის წინ გამართულ მატჩზე გვიამბობს. ქართველმა ფეხბურთელებმა საბჭოთა ფეხბურთში დაკანონებული წესი იმ 18 ნოემბერს დაარღვიეს და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში პირველებმა დაუსვეს წერტილი მოსკოვის საფეხბურთო კლუბების ოცდარვაწლიან ჰეგემონიას.

ფილმის სცენარის ავტორი: ზაზა ჯღარკავა

რეჟისორი: ამირან დოლიძე

10.უკრაინა

ფილმი ეხება უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის საწყისების ანალიზს. კერძოდ, ფილმში მოთხრობილი იქნება თუ როგორ იქმნებოდა უკაინული სახელმწიფო და რას წარმოადგენს ოუნ-უპა, რომლესაც რუსები ფაშისტურ ორგანიზაციად მოიხსენიებს, ხოლო უკრაინელები მას პატრიოტულ გაერთიანებას უწოდებენ. ფილმი ძირითადად ატარებს შემეცბნებით ხასიას და ასახავს უკრაინის მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიას, როდესაც უკრაინა გაყოფილი იყო საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის. აგრეთვე უკრაინელი პარტიზანების ბრძოლას საბჭოთა, გერმანელი და პოლონელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

სცენარის ავტორი მიხეილ ბასილაძე

რეჟისორი ლევან ახობაძე

## სპორტული მიმართულება

სპორტულმა მიმართულებამ ახალი 2015 წელი 12 იანვრიდან დაიწყო და პირველ კვარტალში თოქ-შოუ ''არენათი'' და სპორტული რეპორტაჟებით პირდაპირ ეთერში 39-ჯერ გავიდა.

თოქ-შოუ ''არენამ'' პირველივე გამოშვებებში ყურადღება დაუთმო აქტუალურ საკითხებს , კერძოდ , პირველად ექსკლუზიურად' ეთერში გაჟღერდა ფეხბურთში საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის რეალური კანდიდატურა- კახი ცხადაძე, რომელიც ორი დღით იმყოფებოდა საქართველოში, ეწვია გადაცემას და თავისი განზრახვა და ხედვები გააცნო ტელემაყურებელს.

სტუდიის სტუმრები იყვნენ ლეგენდარული ქართველი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი , ევროპის ჭადრაკის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი და ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე. ის რომ 2018 წლის საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს და როგორ წარიმართება მოსამზადებელი ეტაპი ამის შესახებ სტუმრებმა ისაუბრეს.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში ცნობილი დაპირისპირებისა და რიგგარეშე არჩევნების შემდეგ , პირველად ტელე-მედიის წინაშე "არენას" პირდაპირ ეთერში წარსდგა ახალი პრეზიდენტი მანუჩარ კვირკველია.

ქართველ რაგბისტებს და კალათბურთელებს წელს შესაბამისად მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მოუწევთ გამოსვლა. გეგმებსა და მიზნებზე სტუდიას ეწვივნენ ნაკრებების მთავარი მწვრთნელები ტიმ ჰეიგი და იგორ კოკოშკოვი მოთამაშეებთან ერთად.

სტუდიის სტუმრები იყვნენ ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელები: ოლიმპიური ჩემპიონები კახი კახიაშვილი , გიორგი ასანიძე , ნაკრების წევრები. წელს აპრილში თბილისი პირველად უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატს ძალოსნობაში.

წელს ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს - ბორის პაიჭაძეს 100 წელი შეუსრულდა. ''არენამ'' დიდი დრო დაუთმო მის სპორტულ ბიოგრაფიას.

ქართველი წყალბურთელები ევროპის ოლიმპიური თამაშებისთვის წარმატებით აგრძელებენ შესარჩევ ეტაპს . ტურნირიდან დაბრუნებული გუნდი ჩვენს სტუდიას ესტუმრა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

ქართველმა მშვილდოსანმა ქალებმა ევროპის ჩემპიონატზე გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ამ დიდ მიღწევასაც ყურადღება დაუთმო პროგრამამ.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ქართველმა ძიუდოისტებმა თბილისის ''გრანპრის'' საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც პარალელურად ოლიმპიადის სალიცენზიო შეჯიბრიც გახლავთ, საქართველოს ნაკრების მოჭიდავეებმა ოქროს და ვერცხლის 2 მედალი და 3 მესამე ადგილი დაიკავეს. ტურნირის დამთავრების მეორე დღეს ჩვენი ნაკრები სრული შემადგენლობით ეწვია პროგრამა ''არენას''.

ქართველმა მორაგბეებმა წარმატებით ჩაატარეს 2014-15 წლების რაგბის ევროპის ჩემპიონატი- მოიგეს ყველა შეხვედრა და საპატიო თასს დაეუფლნენ- მორაგბეებიც სტუდიის სტუმრები გახლდნენ.

ტრადიციულად თოქ-შოუ ''არენა'' გამოშვების პირველ ბლოკს ფეხბურთს უთმობს. მიმოიხილება საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ჩატარებული მატჩები, აცნობს ტელემაყურებელს ამა თუ იმ გუნდს-მის წარმატებებსა თუ პრობლემებს . ყურადღების ცენტრში იყო სანაკრებო თემა : მზადება , ჩატარებული მატჩბის ანალიზი და მიმოხილვა. საქართველო-მალტას ამხანაგური მატჩის დამთავრებისთანავე ''არენა'' პირდაპირ ეთერში მ. მესხის სტადიონიდან სპეციალური გამოშვებით გავიდა. რა თქმა უნდა , ფართო განხილვის თემად იქცა საქართველო-გერმანიას მატჩი - ნაკრების ახალმა მწვრთნელმა კახი ცხადაძემ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა გადაცემას

''არენამ'' უყურადღებოდ არც რეგიონალური და პირველი ლიგა დატოვა.

როგორც დასაწყისშივე მოგახსენეთ , სპორტული მიმართულებით პირველ და მეორე არხზე სხვადასხვა სახეობებში 27 რეპორტაჟი გავიდა : ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მატჩები თბილისიდან, სამტრედიიდან, ქუთაისიდან და გორიდან. გადაიცა პირდაპირი რეპორტაჟები -ამხანაგური საქართველო-მალტა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა საქართველო-გერმანია. ეთერში გავიდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მერვედფინალური შეხვედრები.

რაგბის მოყვარულებს საშუალება მიეცათ ეხილათ რაგბის ევროპის ჩემპიონატის საშინაო და საგარეო მატჩები თბილისიდან, პორტუგალიასა და რუმინეთიდან.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში სამი დღის განმავლობაში გადაიცემოდა ძიუდოში თბილისის გრანპრის ფინალური ეტაპის რეპორტაჟები.

ტრადიციულად, შაბათობით პირველი არხის ეთერით გადაიცემოდა კალათბურთში საქართველოს სუპერლიგის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟი და თასის ფინალური შეხვედრა.

წინ საკმაოდ დატვირთული სპორტული სეზონია ,რომელიც პიკს მეორე და მესამე კვარტალში მიაღწევს.

# საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურის ანგარიში

**მარკეტინგის სამსახური**

1. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორციელდება "people meters"-ების საშუალებით. მზადდება სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად, ანალიზდება სატელევიზიო აუდიტორიის ქცევა, მიღებული მონაცემები ყოველდღიურად ეგზავნება არხის ხელმძღვანელობას.

2. გადაცემების პროდიუსერებს, ყოველდღიურად, თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ეგზავნებათ სარეიტინგო მონაცემები: გადაცემების აუდიტორიის განაწილება 5 წუთიანი დროითი სეგმენტების და მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით.

3. ყველა საერთაშორისო პროექტზე სისტემატურად მზადდება რეპორტები და ეგზავნებათ საერთაშორისო ორგანიზაციებს. სპორტული ღონისძიებები, კონცერტები. ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრობა გვავალდებულობს ყველა საერთაშორისო პროექტების ჩვენების შემდეგ გავგზავნოთ სარეიტინგო მონაცემები

4. სექტემბრიდან მიმდინარეობს შეხვედრები ტელეკომპანიების, სარეკლამო სააგენტოების და სარეკლამო სააგენტოების ასოციაციის წარმომადგენლების ჩართულობით. შეხვედრის ყველა მონაწილემ იმსჯელა სამუშაო ჯგუფის შექმნის საჭიროებაზე და მის მუშაობაში სატელევიზიო ბაზრის თითეული მონაწილის ჩართულობის აუცილებლობაზე. ჯგუფის წევრების სურვილით განხორციელდება საკვლევი პანელის ოჯახების აუდიტირების პროცესი. სამუშაო ჯგუფის წევრები მიმდინარე ეტაპზე აგრძელებენ მუშაობას საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის შესარჩევი განაცხადის ტექსტზე. შეხვედრები გეგმის მიხედვით გრძელდება და ჩვენი სამსახური აქტიურად არის ჩართული მთელ პროცესში

5. ევროპის მაუწყებელთა კავშირის მოთხოვნი, მომზადდა ანგარიში ქართული სატელევიზიო აუდიტორიის შესახებ, აუდიტორიის ცალკეული კატეგორიების, სატელევიზიო არხების და სხვა პარამეტრების მიხედვით

6. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს დაკვეთით, კომპანია ეი-სი-თიმ საქართველოს მასშტაბით ჩაატარა კვლევა საზოგადოებრივი მაუწყებლობის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლის მიზნით. კვლევის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მომზადდა სატელევიზიო აუდიტორიის სეგმენტაცია. იგივე კვლევის საფუძველზე მომზადდა პრეზენტაცია საინფორმაციო პროგრამებისთვის, მათთვის საინტერესო და საყურადღებო თემების ირგვლივ.
7. რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა ბაზაზე მომზადდა სტატისტიკური ანალიზი, გამოვყავით სამომხმარებლო სეგმენტები და მოხდა მათი დახასიათება დემოგრაფიული მონაცემების, პროგრამული პრიორიტეტების და ცხოვრების სტილის მიხედვით
8. ჩატარდა გადაცემის „ჩვენი დილა“ თვისობრივი კვლევა, ჯგუფური დისკუსიის, ფოკუსჯგუფის მეთოდით. კვლევა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული სახელმძღვანელო გაიდის საფუძველზე. კვლევის მიზანი:

- „ჩვენი დილა“-ს დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების იდენტიფიცირება
- პროგრამა „ჩვენი დილა“-ს სამიზნე აუდიტორიისათვის აქტუალური საკითხების გამოყოფა
- „ჩვენი დილას“ წამყვანების შეფასება
- გადაცემის ვიზუალური მხარის შეფასება
- ფოკუს ჯგუფის შედეგების რეზიუმირება

არხის ხელმძღვანელობისთვის ჩატარდა კვლევის შედეგების პრეზენტაცია.

**საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

- **მედიაპარტნიორობა**

**ვერა წიგნაძის საიუბილეო გალა-კონცერტი**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია 31 იანვარს, თბილისის საკონცერტო დარბაზში გამართულ, ლეგენდარული ქართველი ბალერინას ვერა წიგნაძის დაბადებიდან 90 წლისთავისათვის მიძღვნილ, საიუბილეო გალა-კონცერტს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

**ზურაბ ჟვანიას ფონდი**

საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიამხარდაჭერით 9 იანვარს გაიმართა „ზურაბ ჟვანიას ფონდის" პროექტის „წინანდლის პრემია" დაჯილდოების ცერემონია.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი**

საზოგადოებრივი მაუწყებელი 2015 წლის განმვალობაში მედია პარტნიორობას უწევს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებსა და კონცერტებს.

**ნუკრი კაპანაძის სოლო კონცერტი**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უზრუნველყო ნუკრი კაპანაძის სოლო კონცერტის და ახალი ალბომის „რეპეტიცია" პრეზენტაციის საინფორმაციო მხარდაჭერა, გადაღება და ეთერში განთავსება.

- **სხვა ღონისძიებები**

**საზოგადოებრივი მაუწყებლის ფილმი-„ხმა"**

12 თებერვალს, 16:00 საათზე, კინოთეატრ რუსთაველის დიდ დარბაზში, საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ მომზადებული ფილმის „ხმა" პრემიერა გაიმართა. ფილმი პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილეს ეძღვნებოდა.

**მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს!**

საზოგადოებრივი მაუწყებელი პროფესიონალების კავშირის „ჩვენი ბავშვები" მიმართვის საფუძველზე ჩაერთო ფოტო კამპანიაში: მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს! კამპანია განხორციელდა სატელევიზიო ეთერის და სოციალური ქსელების საშუალებით.

**Myvideo**

იანვარში Myvideo-ზე შეიქმნა გადაცემა „კომუნიკატორის" ბრენდირებული გვერდი და განთავსდა სარეკლამო ბანერები.

**Infoletters-ი**

საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა პორტალ Infoletters-ზე თამაშდებოდა წამახალისებელი პრიზები და პერმანენტულად თავსდებოდა მედიის შესახებ საჭირო და საინტერესო ინფორმაცია.

**დიოგენე**

იანვრის თვეში გამომცემლობამ „დიოგენე“ საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებს შესთავაზა კორპორატიული ფასდაკლება და ადგილზე მოუტანა შეკვეთილი წიგნები.

**ჟურნალი OK**

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და „ინტელიჯენტ მედიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ჟურნალში OK-ის იანვრის, თებერვლის და მარტის ნომრებში განთავსდა პრომო მასალები.

- **მოქალაქეებთან შეხვედრა**

1. იანვრის თვეში საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის წინ იპოთეკით დაზარალებულმა ადამიანებმა აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ გამოსახლების შეჩერებას და სპეციალური სიუჟეტების მომზადებას მათი პრობლემების თაობაზე. „გამომძიებელი რეპორტიორის“ მიერ მომზადდა ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც ეთერში 9 მარტს გავიდა. აღნიშნულ თემაზე სუიჟეტები მოამზადა საინფორმციო პროგრამა „მოამბემ“.
2. ორასზე მეტმა ადამიანმა მოგვმართა ნოტარიუსების თაღლითობის თაობაზე. თებერვლის თვეში გადაიცა არაერთი სიუჟეტები ამ თემასთნ დაკვშირებით.
3. „ცენტრპოინტის“ - მიერ დაზარალებულ მოქალაქეებთან შეხვედრა. „გამომძიებელი რეპორტიორის“ მიერ მომზადდა ფილმი
4. შეხვედრა პატიმრების მშობლებთან და ყოფილ პატიმრებთან.

- **პრესა**

საზოგადოებრივ მაუწყებელში ყოველდღიურად შემოსული ჟურნალ-გაზეთების მონიტორინგი.

საზოგადოებრივ მაუწყებელში და სატელევიზიო მედიაში არსებული ვითარების ამსახველი პუბლიკაციების სისტემატიზაცია და შესაბამისი სამსახურებისთვის გაცნობა.

შესრულდა 2015 წლის იანვრის, თებერვლის და მარტის თვეებში პრესასთან დაკავშირებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მაუწყებლის **ონლაინ მუზეუმისთვის** მომზადდა მასალები-მაუწყებლობის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

**საერთაშორისო ურთიერთობები:**

**1. CIRCOM-ის კონკურსი**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო CIRCOM-ის (ევროპის რეგიონული ტელევიზიების ასოციაცია) კონკურსში, რომელიც განკუთვნილი იყო რეგიონული სატელევიზიო პროგრამებისთვის, გაიგზავნა ფილმები: „ხელმწიფე“, „ყოფიერების ნიუნასები“.

**2. დოკუმენტური ფილმი „ხელმწიფე“**

საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ დამზადებული ფილმი „ხელმწიფე“ - ს ჩვენების უფლება იყიდა Aljazeera Balkans Channel-მა.

**3. EBU დელეგაციის ვიზიტი**

საზოგადოებრივ მაუწყებელს იანვრის თვეში ეწვია ევროპის მაუწყებელთა კავშირის დელეგაცია. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტთან სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით და ასევე დაიგეგმა შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

**4. EBU MIS - ევროპის მაუწყებელთა კავშირის კვლევა**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროპის მაუწყებელთა კავშირს, კვლევის ფარგლებში მიაწოდა 2014 წლის მონაცემები, რაც მოიცავს პროგრამების, ფინანსების, მარკეტინგის და ადამიანური რესურსების ანგარიშს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი
GEORGIAN PUBLIC BROADCASTER
GPB.GE

5. **ვიზიტი ირანში**

პროექტის „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ ფარგლებში, დაიგეგმა ვიზიტი ირანში, ირანის სააგენტოსთან კომუნიკაციით მომზადდა აკრედიტაციები და სხვა აუცილებელი დოკუმენტაცია.

**6. EBU-ს და ეუთოს რეგიონალური კონფერენცია**

2015 წლის 25-26 მარტს საზოგადოებრვიმა მაუწყებელმა ორგანიზება გაუწია რეგიონულ კონფერენციას თემაზე „საზოგადოებრივი მაუწყებლის ტრანსფორმაციის გამოწვევები სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში“. ინციატივის ავტორები: ევროპის მაუწყებელთა კავშირი, ეუთო და ევროპის საბჭო, პარტნიორი: ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველში.

**7. EBU Academy**

საზოგადოებრივ მაუწყებელში, ევროპის მაუწყებელთა კავშირის დახმარებით ჩამოყალიბდა ტრენინგ ცენტრი EBU Academy, რომელიც გადაამზადებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებს.

პროფესიონალებისგან შემდგარმა ქართველმა ტრენერების ჯგუფმა უკვე გაიარა სპეციალური საკვალიფიკაციო პროგრამა.

**8. შეხვედრა ევროპის საბჭოს წარმომადგენლებთან**

2015 წლის 18 მარტს საზოგადოებრივ მაუწყებელს ეწვია ევროპის საბჭოს დელეგაცია, ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ევროპის საბჭოს წარმომადგენლებსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს შორის, სადაც სტუმრებმა წარადგინეს და განიხილეს ახალი მედია პროექტები.

**9. ევროვიზიის სიმღერის კონკურსი 2015**

2015 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ფარგლებში, ორგანიზება გაეწია საქართველოს მონაწილეობას და განხორციელდა ოფიციალური მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე საერთაშორისო მასშტაბით.

**10. აკრედიტაციები**

გადამღები ჯგუფებისთვის მომზადდა და გაიგზავნა დოკუმენტაცია სხვადასხვა ორგანიზაციაში აკრედიტაციის მისაღებად.

**11. ევროპის მაუწყებელთა კავშირთან ერთად მიმდინარეობს საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ სტრატეგიაზე მუშაობა.**

**12. ევროპის მაუწყებელთა კავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან პერმანენტულად ხორციელდება შეხვედრები სხვადასხვა საკითხზე და ასევე კოორდინაცია ეწევა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციების პირველი პირების შეხვედრებს.**

**მივლინებები**

**იანვარი**

- სასტუმრო - 101 ნომერი
- ავიაბილეთი  - 8
- მატარებელი - 4
- შენგენის ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება ვიზა - 3

**თებერვალი**

- სასტუმრო - 114 ნომერი
- ავიაბილეთი - 16
- მატარებელი - 2
- შენგენის ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება - 4

**მარტი**

- სასტუმრო - 128 ნომერი
- ავიაბილეთი -  18
- მატარებელი - 2
- შენგენის ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება - 7

**ჯამი:**

**სატუმრო** - 343 ნომერი

**ავიაბილეთი** - 42

**მატარებელი** - 8

**ვიზა** - 14

3 თვის განმავლობაში მომზადდა 185 სამივლინებო განაცხადი, აქედან 343 სასტუმროს ნომრის, 76 ავიაბილეთის, 12 მატარებლის ბილეთის დაჯავშნა/შეძენა, საზოგადოებრივი მაუწყებლის 14 თანამშრომლისთვის შენგენის ვიზის მისაღებად საკონსულოში ვიზიტის დაგეგმვა, საბუთების მოგროვება, ანკეტის შევსება , სატელეფონო ლიმიტების განსაზღვრა მათთვის მივლინების დროს. ფინანსური სამსახურისთვის მოვამზადე 15 მოხსენებითი ბარათი და მიღება-ჩაბარების აქტი ტურისტული სააგენტოების მიერ გაწეულ მომსახურებაზე.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲘ

## სარეკლამო სამსახური

**იანვარი 2015**

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ მიმდინარე სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;
- მომსახურეობა გავუწიეთ საახალწლო ღონისძიებებისთვის დადებულ კონტრაქტებს;
- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

**თებერვალი 2015**

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ განახლებული სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;
- გავყიდეთ რაგბში ერთა თასის სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები და მოვემსახურეთ;
- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.

**მარტი 2015**

- სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ განახლებული სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები;
- გავყიდეთ ძალოსნობის ევროპის ჩემპიონატის, ფეხბურთში 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის, უეფას ჩემპიონთა ლიგის თამაშების სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები და მოვემსახურეთ;
- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე და რადიოს ორივე არხზე.
- სარეკლამო კუთხით საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად მოლაპარაკებები ვაწარმოეთ და შეთანხმებები გავაფორმეთ კონტრაქტორ კომპანიებთან.

საზოგადოებრივი მაუწყებელი
GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

**იანვარი 2015**

| **ბარტერი** | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| საქართველოს კალათ. რ.ფედერაცია | 1000,00 | |
| სს ``აი-თი-დი-სი | 1500,00 | |
| შპს `Gigastudio`` | | 5349,00 |
| შპს ``დეკა`` | | 70,00 |
| შპს ``აგრომაქს დეკორი`` | | 200,00 |
| შპს``კახური ტრადიციული მეღვინეობა`` | | 4812,50 |
| შპს ``M-Tour`` | | 1283,00 |
| შპს ``რონიკო`` | | 1000,00 |
| შპს ``21`` | | 3425,92 |
| სს ``გუდვილი`` | | 2450,00 |
| შპს ``დიკა`` | | 436,74 |
| შპს ``Iveria Beauty`` | | 700,00 |
| შპს ``რ ჯგუფი`` | | 499,43 |
| შპს ``ინტელიჯენტმედია`` | | 2500,00 |
| შპს ``მი-ფა-სი`` | | 500,00 |
| შპს ეტალონი მედია | | 15000,00 |
| **ჯამი:** | **2 500,00** | **38 226,59** |

საზოგადოებრივი მაუწყებელი

| ტელე განთავსება | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| კონრად ადენაუერის ფონ.წარმ.საქართველოში | 1180,00 | |
| შპს``მედიაპორტი`` | 1066,67 | |
| შპს ``ბიოქომფარმი`` | 1000,00 | |
| შპს ``ბიოქომფარმი`` | 900,00 | |
| შპს ``ვასაძის პური`` | 1500,00 | |
| სს ``ჰიუნდაი ავტოსაქართველო`` | | 875,00 |
| შპს ``თბილისის პარკი`` | | 233,45 |
| შპს ``მედია 10`` | | 7600,00 |
| შპს ``კრეატორი`` | | 2000,00 |
| შპს ``ეტალონ-მედია | | 8000,00 |
| **ჯამი:** | **5646,67** | **18708,45** |

| რადიო განთავსება | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| შპს ``ფრაინ თრი`` | | 1500,00 |
| აიპ ``გენდერული ტანასწორობის ქსელი`` | 100,00 | |
| **ჯამი:** | **100,00** | **1500,00** |

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

თებერვალი 2015

| ბარტერი | | |
|---|---|---|
| დამკვეთი | თანხა აშშ დოლარში | თანხა ლარში |
| საქართველოს კალათ. რ.ფედერაცია | 1000,00 | |
| სს ``აი-თი-დი-სი | 1500,00 | |
| ააიპ ``საქართველოს რაგბის კავშირი`` | 500,00 | |
| სს ``აი-თი-დი-სი | 1000,00 | |
| შპს `Gigastudio`` | | 5349,00 |
| შპს ``დეკა`` | | 70,00 |
| შპს ``GUD Company`` | | 1933,14 |
| შპს``ბიუთი ფლეის`` | | 1500,00 |
| შპს ``ფი 2`` | | 875,00 |
| შპს ``21`` | | 1711,47 |
| სს ``გუდვილი`` | | 2450,00 |
| შპს ``დიკა`` | | 218,36 |
| შპს ``Iveria Beauty`` | | 700,00 |
| შპს ``რ ჯგუფი`` | | 499,43 |
| შპს ``ინტელიჯენტმედია`` | | 2500,00 |
| შპს ``მი-ფა-სი`` | | 500,00 |
| შპს ეტალონი მედია | | 15000,00 |
| **ჯამი:** | **4 000,00** | **33 306,40** |

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

| ტელე განთავსება | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| კონრად ადენაუერის ფონ.წარმ.საქართველოში | 1180,00 | |
| შპს``ბეთერფლაი`` | 2250,00 | |
| შპს ``ბიოქომფარმი`` | 900,00 | |
| შპს``ბეთერფლაი`` | 2250,00 | |
| შპს ``ტექნობუმი`` | 5000,00 | |
| შპს ``მედია 10`` | 3000,00 | |
| სს ``ჰიუნდაი ავტოსაქართველო`` | | 875,00 |
| შპს ``ესთელაინი`` | | 3 000,00 |
| შპს ``მედია 10`` | | 7600,00 |
| შპს ``კრეატორი`` | | 2000,00 |
| შპს ``ეტალონ-მედია | | 8000,00 |
| **ჯამი:** | **14 580,00** | **21 475,00** |

| რადიო განთავსება | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| შპს ``ფრაინ თრი`` | | 1500,00 |
| ააიპ ``ნაციონალიზმისა კონფ. კვლ. ინსტიტური | | 480 ფ. სტერლინგი |
| აიპ ``გენდერული თანასწორობის ქსელი`` | 100,00 | |

| | | |
|---|---|---|
| **ჯამი:** | **100,00** | **1500,00** |

**მარტი 2015**

| **ბარტერი** | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| საქართველოს კალათ. რ.ფედერაცია | 1000,00 | |
| სს ``აი-თი-დი-სი | 3000,00 | |
| ააიპ ``საქართველოს რაგბის კავშირი`` | 500,00 | |
| შპს ``კვირის პალიტრა`` | 2000,00 | |
| შპს `Gigastudio`` | | 8023,50 |
| შპს ``დეკა`` | | 70,00 |
| შპს ``წისქვილი`` | | 2000,00 |
| შპს``გლორია`` | | 1400,00 |
| ინდ.მეწ. ``ვიოლა ამბროლაძე`` | | 100,00 |
| სს ``გუდვილი`` | | 1225,00 |
| შპს ``Iveria Beauty`` | | 700,00 |
| შპს ``რ ჯგუფი`` | | 499,43 |
| შპს ``ინტელიჯენტმედია`` | | 2500,00 |
| შპს ``მი-ფა-სი`` | | 500,00 |
| შპს ეტალონი მედია | | 15000,00 |
| **ჯამი:** | **6 500,00** | **32 017,91** |

საზოგადოებრივი მაუწყებელი
GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

| ტელე განთავსება | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| საქართველოს ძალოსნობის ერ. ფედერაცია | 1500,00 | |
| შპს``ბეთერფლაი`` | 4500,00 | |
| შპს ``მაგიმედია`` | 900,00 | |
| შპს``საგანმანათლებლო ინოვაციები`` | 750,00 | |
| შპს ``ფორმულა პროესკო ფროდაქშენი`` | 3500,00 | |
| შპს ``მედიაპორტი`` | 2350,00 | |
| შპს ``მედია 10`` | 6000,00 | |
| კონრად ადენაუერის ფონ.წარმ.საქართველოში | 1180,00 | |
| სს ``ჰიუნდაი ავტოსაქართველო`` | | 875,00 |
| შპს ``კრეატორი`` | | 2000,00 |
| შპს ``ეტალონ-მედია | | 2083,34 |
| **ჯამი:** | **20 680,00** | **4 958,34** |

| რადიო განთავსება | | |
|---|---|---|
| **დამკვეთი** | **თანხა აშშ დოლარში** | **თანხა ლარში** |
| შპს ``ფრაინ თრი`` | | 1500,00 |
| აიპ ``გენდერული თანასწორობის ქსელი`` | 200,00 | |
| **ჯამი:** | **200,00** | **1500,00** |

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

## ვებ-პორტალი

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეიმუშავა ვებ გვერდების - 1tv.ge; 2tv.ge; radio1.ge; ახალი კონსტრუქცია და დიზაინი. გავითვალისწინეთ ის იდეები და კომენტარები, რაც წლების განმავლობაში მუშაობის პროცესში შეგვხვედრია. განვახორციელეთ მომხმარებლის ფუნქციების მაქსიმალური ინტეგრაცია, რაც გამოიხატა შემდეგში:

- მომხმარებლებს საშუალება აქვთ იქონიონ საკუთარი გვერდი, სადაც დაწერენ ბლოგებს, ექნებათ ფავორიტი სტატიები და ნიშნულები სამომავლოდ წასაკითხი სტატიების;
- მომხმარებლებს საშუალება აქვთ მთავარ გვერდზევე გაფილტრონ საინტერესო, ახალი დამატებული და ტოპ სიახლეები;
- საიტზე გათვლილია ადგილები სტატიკური და ანიმაციური ბანერებისთვის;
- საიტი ტექნიკურად გამართულია, ორი ენის მხარდაჭერით. გათვალისწინებულია გვერდების ჩატვირთვის სისწრაფე, ტექსტისა და სიახლეების მართვის მოქნილი მექანიზმი, მოქნილი და რელევანტური საძიებო სისტემა და ა.შ.
- დიზაინი, რომელიც ერგება ნებისმიერი გაფართოების მონიტორს, გატესტილი ყველა ინტერნეტ-ბრაუზერზე.
- პლანშეტებზე, სმარტფონებზე და მობილურ ტელეფონებზე მორგებული დიზაინი.
- ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან
- **სამოქალაქო ჟურნალისტიკა** IREPORTER

საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირების, ასევე საზოგადოებასთან უფრო მეტი კავშირის დამყარების მიზნით, პირველი არხის საიტზე იტვირთება საზოგადოების მხრიდან შემოთავაზებული აუდიო, ვიდეო და ფოტომასალა.

- მომხმარებელს საშუალება აქვს თავად დაწეროს და განათავსოს სტატია ვებ პორტალზე
- მომხმარებელს საშუალება აქვს დაამატოს თავისი ვიდეო მასალა ვებ გვერდზე.
- მომხმარებელს საშუალება აქვს გააზიაროს და გააპიაროს თავისი და სხვისი სტატიები და გვერდები სიციალური ქსელების მეშვეობით.
- მომხმარებლის სამართავი პანელი მაქსიმალურად დაცულია.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

- o კომენტარების დატოვების საშუალება აქვთ, როგორც ფეისბუქის და გუგლ პლუსის, აგრეთვე ჩვეულებრივად რეგისტრირებულ მომხმარებლებს.
- ***შენიშვნა:***
    - o ყველა სტატია მოდერირებადია ვებ გვერდის ადმინისტრაციის მიერ
    - o საიტზე არის კომენტარების წაშლა -მოდერირების ფუნქცია

www.1tv.ge - განთავსებულია პროგრამა „მოამბის" ახალი ამბების ორენოვანი მრავალწლიანი არქივი კატეგორიების მიხედვით, რომელსაც ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა, ასევე სხვა წყაროებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალები, სხვადასხვა გადაცემების ვიდეო არქივი, პოლიტიკური თოქშოუებიდან საინტერესო მონაკვეთები, პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით, ტელეპროგრამა. ასევე კვლავ ფუნქციონირებს პირველი არხის ცალკეული გადაცემებისთვის დამზადებული პრომო საიტები განსხვავებული დიზაინითა და ფუნქციებით: 1tv.ge/Kids; 1tv.ge/RealuriSivrce; Komunikatori.ge, რაც წარმოადგენს სატელევიზიო და ინტერნეტ-მაუწყებლობის სრულფასოვან ჰიბრიდს.

Komunikatori.ge

- ორსაათნახევრიანი საეთერო მაუწყებლობის გარდა, "კომუნიკატორი" 24-საათიან რეჟიმშია ჩართული ინტერნეტ სივრცეში, ორი დამატებით კამერის საშუალებით, მომხმარებელს შეუძლია მუდმივად ადევნოს თვალი სტუდიაში მიმდინარე პროცესებს. როგორც ეთერის დროს "ალტერნატიული ხედით", ასევე დღის ნებისმიერ დროს, კერძოდ მათ შეუძლიათ უყურონ გადაცემის მომზადების ეტაპებს, ცოცხალი მუსიკის ჩაწერის პროცესს და ა.შ.

- საიტი komunikatori.ge ტელევიზიასთან ერთად, თანაბარი მნიშვნელობის რესურსია გადაცემის ფუნქციონირებისას. "კომუნიკატორის" ინტერნეტ-პლატფორმიდან ხდება საეთერო თემების დამუშავება და კონტაქტი მაყურებელთან.
- გადაცემის დროს, სატელეფონოს გარდა, ყველა სხვა სახის კავშირი მაყურებელთან ხდება "კომუნიკატორის" ინტერნეტ-პლატფორმის გავლით, საიდანაც ყველა მსურველს აქვს საშუალება გამოთქვას თავისი მოსაზრება პირდაპირ ეთერში თავისი პერსონალური კომპიუტერიდან (ტელეფონიდან, პლანშეტიდან) ფეისბუკის, სკაიპის, გუგლისა და სხვა პოპულარული სოციალური ქსელის დახმარებით

საზოგადოებრივი მაუწყებელი ინტერნეტ სივრცეში წარმოდგენილია კიდევ რამდენიმე ვებ-გვერდით. ესენია:

- www.gpb.ge - განთავსებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია, დოკუმენტაცია, სამეურვეო საბჭოს სხდომები და დადგენილებები, საბჭოს სხდომების ვიდეოვერსიები, კანონმდებლობა და ა.შ.

www.2tv.ge - განთავსებულია მე-2 სატელევიზიო სამაუწყებლო არხის გადაცემები, ტელეპროგრამა და პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით.

www.radio1.ge - განთავსებულია საზოგადოებრივი რადიო 1-ის გადაცემები, აუდიო/ვიდეო არქივი, ანონსები, რადიო 1-ის და რადიო2-ის- www.radio2.ge liveმაუწყებლობა აუდიო/ვიდეო (ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით), ასევე მობილური ვერსია.

www.eurovision-georgia.ge -ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით საიტზე განთავსდა შიდაშესარჩევ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების, ფოტოები, ბიოგრაფიები.

საბავშვო ევროვიზიის კონკურსის პერიოდში განახლდა საიტი -**junior.eurovision-georgia.ge და** განთავსდა კონკურსში მონაწილე ლიზი პოპის შესახებ ინფორმაციები, ასევე კონკურსთან დაკავშირებული ახალი ამბები და ვიდეო ფაილები.

ამჟამად მიმდინარეობს ევროვიზიის კონკურსთან დაკავშირებული საიტების სრული რებრენდინგი.

## YouTube-არხები

გაიხსნა და ამოქმედდა საზოგადოებრივი მაუწყებლის Youtube არხები, კერძოდ "სსმ", "სსმ სპორტი", "თქვი.ge", ცალკე გვერდები აქვს "გურმანიას", "რეალურ სირცეს", "ჩემ წიგნს", "კომუნიკატორს", ასევე ცალკი არხი გვაქვს პირდაპირი რეპორტჟებისთვის და Live-გადაცემებისთვის - 1tv Live, არხს ვიყენებთ სპორტული რეპორტაჟების, "მოამბის", სპეციალური გამოშვებების, "რეალური სივრცის", "პირველი სტუდიის", "კომუნიკატორის" პირდაპირ ეთერში ტრანსლირებისთვის.

"სსმ"-ზე განთავსებულია საინფორმაციო გამოშვებები, სიუჟეტები, პირველი და მეორე არხის ტოქ-შოუები, პირველი არხის ყველა ის გადაცემა, რომლებზეც საავტორო უფლებები ეკუთვნის საზოგადოებრივ მაუწყებელს.

სპორტს აქვსცალკე YouTube-არხი, https://www.youtube.com/user/SportGPB

"სსმ სპორტზე" იტვირთება ყველა სპორტული გადაცემა და ყველა სპორტული რეპორტაჟი, რომელთა საავტორო ან მაუწყებლობის უფლებები ეკუთვნის საზოგადოებრივ მაუწყებელს.

2015 წ. I კვარტალი - სულ ვიზიტები - 1,818,266; გვერდების ნახვები - 3,000,295

| | |
|---|---|
| 1. საქართველო | 1,405,546(77.30%) |
| 2. აშშ | 69,986(3.85%) |
| 3. გერმანია | 51,404(2.83%) |
| 4. რუსეთი | 45,147(2.48%) |
| 5. საბერძნეთი | 38,223(2.10%) |
| 6. იტალი | 32,501(1.79%) |
| 7. საფრანგეთი | 21,691(1.19%) |
| 8. თურქეთი | 17,405(0.96%) |
| 9. ესპანეთი | 17,225(0.95%) |
| 10. დიდი ბრიტანეთი | 13,437(0.74%) |

live - 102,212

ხელის თხოვნა პირდაპირ ეთერში - 19,037

"მოამბის" ექსკლუზივი, რომელიც შესაძლოა, ყარაფილაში მომხდარ

ტრაგედიასთან პირდაპირ კავშირში იყოს - 13,952

ტესლას პროექტი განხორციელდა - იაპონელებმა მოახერხეს

ელექტროენერგიის გადაცემა სადენების გარეშე - 13,717

ჰაკერები ტერორისტებს ომს უცხადებენ - 12,876

ოფიციალურმა მოსკოვმა ოკუპირებულ ცხინვალსა და სოხუმში ჯარი

და მძიმე ტექნიკა შეიყვანა - 12,674

ქალაქი ლოგიკის გარეშე - კომუნიკატორი - 12,236

YouTube - ვიზიტები - 4,335,318

ნინა სუბლატი - Warrior

ტელებლოგი - "სანამ სიგარეტი ჩაიწვება"

მეჯვარის მეუღლის გაუპატიურების მცდელობაში ეჭვმიტანილი პოლიციელი სასტიკად აწამეს

Nina Sublati - Warrior (Georgia) 2015 Eurovision Song Contest

მოქალაქეების თვალით დანახული სპეცოპერაცია

ქართული დოკუმენტალისტიკა - ისტორიები ფილმიდან "ერთი ნახვით შეყვარება" (პირველი ნაწილი)

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ძაღლი

ტელებლოგი - "პროსტიტუცია: პრობლემა ტაბუთი"

კანონიერი ქურდი ტარიელ ფოცხვერია სამედიცინო დაწესებულებაში აიყვანეს

უნიკალური შემთხვევა -- იემენში, 12 წლის გოგონას, ცრემლის ნაცვლად კენჭები ცვივა

19 წლის სატანისტმა გოგონამ 22 ადამიანის მკვლელობა აღიარა

უნიკალური ქართული სპორტკუპე - "ქვარიანი"

საზოგადოებრივი მაუწყებელი

სირიაში მღვდელს თავი მოჰკვეთეს

ჯაბა კანკავამ კიევის "დინამოს" კაპიტანი სიკვდილს გადაარჩინა

დემოგრაფია და რეგიონები

| ALL | MALE | FEMALE |
|---|---|---|
| 100% | 66% | 34% |







| Top locations by views | Views | 13–17 years | 18–24 years | 25–34 years | 35–44 years | 45–54 years | 55–64 years | 65+ years | Gender |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Georgia | 2,985,729 | 11% | 39% | 30% | 13% | 4.7% | 1.9% | 1.2% | |
| Russia | 441,770 | 7.8% | 26% | 34% | 17% | 8.7% | 4.4% | 2.7% | |
| United States | 121,730 | 1.8% | 15% | 27% | 24% | 18% | 9.1% | 5.6% | |
| Greece | 85,672 | 4.4% | 32% | 28% | 17% | 12% | 5.8% | 1.6% | |
| Germany | 80,324 | 2.6% | 30% | 43% | 16% | 5.2% | 3.0% | 0.7% | |
| France | 67,253 | 4.1% | 26% | 40% | 19% | 7.1% | 2.0% | 1.6% | |
| Turkey | 60,448 | 3.6% | 26% | 35% | 21% | 9.6% | 2.6% | 2.3% | |
| Spain | 54,781 | 4.7% | 28% | 35% | 21% | 6.7% | 4.5% | 0.9% | |
| Kazakhstan | 53,397 | 13% | 34% | 36% | 9.2% | 4.3% | 2.4% | 1.4% | |
| Italy | 52,966 | 3.0% | 18% | 44% | 17% | 9.8% | 6.8% | 1.4% | |

მოწყობილობები

VIEWS
4,335,318

ESTIMATED MINUTES WATCHED
17,066,497

More metrics | Daily | Show growth | Show totals | Show as % of totals




Device type | Operating system

| Device type | Views | Estimated minutes watched | Average view duration |
|---|---|---|---|
| Computer | 3,102,021 (72%) | 12,798,706 (75%) | 4:07 |
| Mobile phone | 884,124 (20%) | 2,794,952 (16%) | 3:09 |
| Tablet | 322,086 (7.4%) | 1,303,520 (7.6%) | 4:02 |
| TV | 19,921 (0.5%) | 138,008 (0.8%) | 6:55 |
| Unknown | 5,950 (0.1%) | 24,474 (0.1%) | 4:06 |
| Game console | 1,216 (0.0%) | 6,838 (0.0%) | 5:37 |

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

# კანცელარია

<u>იანვარი</u>

კანცელარიაში 2015 წლის იანვრის თვეში:

1. რეგისტრირებულია **321** წერილი, აქედან:
   - **162** მოხსენებითი ბარათი;
   - **86** გასული წერილი, აქედან:

გენერალური დირექტორის სახელით - **62**;

გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის სახელით - **3;**

ფინანსების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით- **15;**

ტექნიკის და მომსახურების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით **- 3;**

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელით -**2** ;

შესყიდვების სამსახურის უფროსის სახელით - **1;**

- **73** შემოსული წერილი, აქედან:

სხვადასხვა ორგანიზაციებიდან - **61**;

მოქალაქის - **12**;

2. მომზადდა **68** ბრძანება, აქედან:
   - **52** - მივლინების ბრძანება;
   - **16** - საერთო ხასიათის ბრძანება;
3. დაშვებულ იქნა **331** სტუმრის საშვი.

<u>თებერვალი</u>

კანცელარიაში 2015 წლის თებერვლის თვეში:

1. რეგისტრირებულია **425** წერილი, აქედან:

- **208** მოხსენებითი ბარათი;
- **83** გასული წერილი, აქედან;

გენერალური დირექტორის სახელით - **58**;

ფინანსების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით- **10;**

ტექნიკის და მომსახურების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით **- 11;**

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელით -**4** ;

- **134** შემოსული წერილი, აქედან:

სხვადასხვა ორგანიზაციებიდან - **102**;

მოქალაქის - **32**;

2. მომზადდა **92** ბრძანება, აქედან:

- **75** - მივლინების ბრძანება;
- **17** - საერთო ხასიათის ბრძანება;

3. გაიცა:

- **1** შრომის წიგნაკი (ყოფილ თანამშრომელზე);
- **1** საარქივო ცნობა (ყოფილ თანამშრომელზე);
- **1** პირადი საქმე (იურიდიული სამსახურისთვის);

4. დაშვებულ იქნა **338** სტუმრის საშვი.

<u>მარტი</u>

კანცელარიაში 2015 წლის მარტის თვეში:

1. რეგისტრირებულია **460** წერილი, აქედან:

- **218** მოხსენებითი ბარათი;
- **101** გასული წერილი, აქედან:

გენერალური დირექტორის სახელით - **70**;

ფინანსების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით- **15;**

ტექნიკის და მომსახურების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის სახელით **- 15;**

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელით -**1 ;**

- **141** შემოსული წერილი, აქედან:

სხვადასხვა ორგანიზაციებიდან - **115**;

საქართველოს პრეზიდენტისგან - **1;**

მოქალაქის - **25**;

2. მომზადდა **97** ბრძანება, აქედან:

- **81** - მივლინების ბრძანება;
- **16** - საერთო ხასიათის ბრძანება;

3. გაიცა:

- **1** სახელფასო ცნობა (ყოფილ თანამშრომელზე);
- **2** პირადი საქმე (იურიდიული სამსახურისთვის);

4. დაშვებულ იქნა **535** სტუმრის საშვი.

2015 წლის პირველ კვარტალში კანცელარიაში რეგისტრირებულია **1206** წერილი, მომზადდა **208** მივლინების და **49** საერთო ხასიათის ბრძანება, გაიცა: **1** შრომის წიგნაკი, **1** საარქივო ცნობა, **1** სახელფასო ცნობა, **3** პირადი საქმე, მაუწყებლის შენობაში დაშვებულია **1204** სტუმარი.

## საზოგადოებრივი რადიო

საანგარიშო პერიოდში „საზოგადოებრივი რადიო 1“-მა გააგრძელა პროგრამული პრიორიტეტების შესრულება და გააფართოვა მულტიმედიური პროექტი.

1. **მულტიმედიური მაუწყებლობა**

საზოგადოებრივმა რადიომ, მაუწყებლის ვებგვერდის სამსახურთან ერთად, დაასრულა ახალ საიტზე მუშაობა და ვებ-გვერდი ტესტურ რეჟიმში აამუშავა. ცვლილება ხდება მაუწყებლის ვებგვერდის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

წარმატებული აღმოჩნდა Youtube-ზე შექმნილი არხი.

2. **საიუბილეო ღონისძიებები**

საზოგადოებრივმა რადიომ მაუწყებლის პიარ სამსახურთან ერთად შეიმუშავა რადიოს საიუბილეო ღონისძიებები. რადიოს ანონსების ჯგუფმა დაიწყო საიუბილეო რგოლებზე მუშაობა. საიუბილეო წლის აღნიშვნას სისტემატურად ეძღვნება რადიოს გადაცემები. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურია შემდეგი პროგრამები „პიკის საათი“, „ხაზის რადიო“ და „მუსიკის საათი“.

3. **პოგრამული ბადე**

ქართულ მედიასივრცეში „საზოგადოებრივი რადიო 1“ კვლავ გამოირჩევა თავისი პროგრამების მრავალფეროვნებით, ხარისხით და რაოდენობით. რადიო 1-ის პროგრამული ბადე ყალიბდება ყველა იმ პრიორიტეტის მიხედვით, რომლებიც მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ არის განსაზღვრული.

**3.1 სიახლე**

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა რადიომ დაიწყო პროექტი „პუბლიცისტური მემკვიდრეობა“. პროექტი დაიწყო ციკლით „ქვეყნის მოყვარე – დიმიტრი ყიფიანი“. ციკლი დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 200 წლის იუბილეს ეძღვნება. რადიომსმენელს საშუალება აქვს გაეცნოს დიმიტრი ყიფიანის დღემდე უცნობ წერილებსა და მემუარებს.

15 წთ-იანი პროგრამა ოთხშაბათს და კვირას დღეში ორჯერ გადის.

მომავალში პროექტი დაეთმობა სხვა ქართველ მოღვაწეთა პუბლიცისტურ მემკვიდრეობას.

### 3.2 ინფორმაცია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2013-2014 წლის პროგრამული პრიორიტეტებში გათვალისწინებულია რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებისათვის. ყველა ეს რეკომენდაცია რადიოს ფორმატის გათვალისწინებით შესრულებულია.

საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემებს უკავია 14:00 - 21:00 საეთერო ზოლი. ამ ზოლში რადიო 1-ის ყველა გადაცემა ინტერაქტიულია. ამას ემატება ეთნიკური უმცირესობების ენებზე 25 წუთიანი მაუწყებლობა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დატვირთვა ნაწილობრივ აქვს დილის გადაცემას „პიკის საათი".

საინფორმაციო გამოშვებებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

**საინფორმაციო გამოშვება** - პირდაპირ ეთერშია დილის 8 საათიდან ღამის 11 საათის ჩათვლით, ყოველ სრულ საათზე. 5 წუთიან გამოშვებაში ოპერატიულ და ობიექტურ ინფორმაციას მოისმენთ დღის მნიშვნელოვან მოვლენებზე. 19:00 საათზე ეთერშია ვრცელი გამოშვება. საზოგადოებრივი რადიოს საინფორმაციო სამსახური გამოირჩევა ობიექტურობით, გადამოწმებული და დაბალანსებული ინფორმაციით;

**ღია სტუდია** – ყოველ სამუშაო დღეს 14.10-15.00 სთ. სოციალური საკითხები, ეკონომიკა, პოლიტიკა, მეცნიერება, განათლება, კულტურული მემკვიდრეობა ყველაფერი ის, რაც საზოგადოებას აინტერესებს, „ღია სტუდიის" მსჯელობის საგანია;

**საღამოს პიკის საათი** - – ყოველ სამუშაო დღეს 17.10-18.00 სთ. შემაჯამებელი პოლიტიკური თოქშოუ - აქტუალური თემების დეტალური ანალიზი, დღის მთავარი თემების განხილვა კომპეტენტურ სტუმრებთან და მსმენელთან ერთად;

**ელენე ბილიხოძის სპორტული ესტაფეტა** – ყოველდღე კვირის გარდა 19.10-20.00 ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, საუბრები სპორტის სხვადასხვა სახეობათა აქტუალურ საკითხებზე სპორტის სამყაროს ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლების მონაწილეობით;

**ერთად ევროპისკენ** – ორშაბათს, 16:10–ზე, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების ძალისხმევა და მიმდინარე პროცესები:

უსაფრთხოება, თავდაცვა, ევროკავშირი და ნატო, დემოკრატიული რეფორმები, ვალდებულებები და სტანდარტები, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს;

**უფლება და თავისუფლება** – ხუთშაბათს 16:10სთ-ზე, გადაცემა ეძღვნება ადამიანის უფლებს. საკითხები მრავალფეროვანია სახელმწიფოს სტატეგია ადამიანთა უფლებების სფეროში, გენდერი, ბავშვთა უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, დევნილები, შიდსის პრობლემები და სხვა. გადაცემა მზადდება საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის მხარდაჭერით;

**ეკომეტრი** - ოთხშაბათს 16.10-17.00 საუბარი გარემოსდაცვით პრობლემატიკაზე, ბუნებრივ რესურსებსა და ეკოლოგიურ საფრთხეებზე;

**მიგრაციის მარშრუტები** - სამშაბათს და ხუთშაბათს, 18.10-19.00. საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა უფლებები, ცხოვრების, სწავლის და მუშაობის პირობები, დაბრუნების პერსპექტივა, ტრეფიკინგის პობლემები;

**განსხვავებული აზრი-სტუმარი სტუმართან** – სამშაბათს 16.10-17.00. გადაცემას აქვს განსხვავებული ფორმატი - წამყვანები მოწვეული სტუმრები რაც საზოგადოებისათვის საინტერესო თემებზე განსხვავებული კუთხით საუბრის საშუალებას იძლევა;

**რეგიონის დროით** – საქართველოს რეგიონების დღევანდელობა, პრობლემები და მათი მოგვარების გზები (სიდას და იუესეიდის დაფინანსებით);

**თქვენი უფლებები** (იურიდიული კონსულტაცია) - სამშაბათს, 15.10-16.00 სთ-მდე – პირდაპირ ეთერში მოწვეული კომპეტენტური იურისტები განმარტავენ მოქმედ კანონებსა და დებულებებს;

**შტრიხ-კოდი** - ხუთშაბათს 15.10-16.00 სთ., გადაცემა ეძღვნება მომხარებელთა უფლებებს. ექსპერტები, ხელისუფლების და მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ სურსათის უვნებლობის, საქონლის ვარგისიანობის შემოწმების, შენახვისა და გაყიდვის წესებზე, მომხმარებელთა დამცავ კანომმდებლობაზე

**ფერმერის საათი** - kviras 15.10-16.00, პროგრამა ხშირად ეძღვნება სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ მდგომარეობას, სახელმწიფო პოლიტიკას, ბიზნესგარემოს, მომავალ პროექტებსა და პერსპექტივებს.

**ისევ განათლების საკითხებზე** - შაბათს 15.10-16.00 sT, თოქშოუ განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეებზე, პროფესიულ, საშუალო და

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების წესებზე, სამეცნიერო გრანტებზე, ერთიან ეროვნულ, სამაგისტრო, სასერთიფიკაციოგამოცდებზე, გამოცდების ჩატარების პროცედურასა და ნიუანსებზე, საერთაშორისო გაცვლოთ პროგრამებსა და სტიპენდიებზე. სტუდიაში მოწვეული სტუმრები საუბრობენ წინასწარ შერჩეულ თემაზე და პასუხობენ მსმენელთა სატელეფონო ზარებს;

**აკადემიური სივრცე** – ქართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა, მიღწევები, პრობლემები და განვითარების გზები;

**ამერიკის ხმა** – ყოველდღიური ტრანსლაცია ვაშინგტონიდან – მსოფლიო ამბები, სიუჟეტები საინტერესო თემებზე. ყოველდღიურად გადის სამი გამოშვება 15 წუთიანი გამოშვებები გადის 07:45სთ-სა და 22:05სთ-ზე. ნახევარსაათიანი გამოშვება კი გადის 20:05 სთ-ზე.

### 3.3 საგანამანათლებლო და კულტურის მიმართულება

საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულება საზოგადოებრივი რადიოს პრიორიტეტს ტრადიციულად წარმოადგენს. რადიო 1 -ს აქვს პროგრამები, რომლებიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ არის უნიკალური ქართულ მედიასივრცეში. ამ პროგრამების მომზადებისას საზოგადოებრივი რადიო იყენებს „ოქროს ფონდს“, რაც ჩვენ პროდუქციას ასევე გამოარჩევს მედიაბაზარზე. პროგრამებზე მუშაობენ პროფესიონალები, რომლებიც მაუწყებლის სიამაყეს წარმოადგენენ.

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი რადიოსადგურია, რომელსაც გააჩნია რადიო თეატრი. რადიოსპექტაკლების ხარისხზე მიუთითებს საერთაშორისო აღიარება და პრიზები.

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელიც სისტემატურად იწერს სპექტაკლებს და კლასიკური მუსიკის კონცერტებს, რაც მნიშვნელოვანია ქართული კულტურისათვის. საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელსაც აქვს მუდმივი გადაცემები სადაც შეგიძლიათ მოისმინოთ თეატრალური და მუსიკალური მიმოხილვა და კრიტიკა.

რადიო 1 გამოირჩევა მუსიკალური გადაცემების მრავალფეროვნებით და ხარისხით. მუსიკალური პროგრამები მოიცავს პრაქტიკულად მთელ სპექტრს - კლასიკას, ფოლკლორს, ძველ და თანამედროვე ქართულ ესტრადას, თანამედროვე და შედარებით უცნობ მუსიკას.

საზოგადოებრივი რადიო ასევე გამოირჩევა ლიტერატურული და საბავშვო პროგრამებით.

საგანამანათლებლო და კულტურის მიმართულების გადაცემების ჩამონათვალი ასეთია:

**რადიოთეატრი** – საზოგადოებრივი რადიოს რადიოთეატრი წარმოადგენს ქართული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს. ეროსი მანჯგალაძის სახელობის რადიოსტუდიაში დღესაც იწერება რადიოდადგმები. რადიოს ეთერში ისმის როგორც ძველი ასევე ახალი რადიოსპექტაკლები. საზოგადოებრივი რადიოს ახალი დადგმები მუდმივად მონაწილეობენ საერთაშორისო კონკურსებში, იღებენ აღიარებას და პრიზებს;

**გულიკო კაკაბაძის თეატრალური შეხვედრები** – ორშაბათს 18.10-19.00, ქართული თეატრის სიახლეები, პრემიერები, თეატრალურ მოღვაწეთა გახსენება, სცენები რადიოს ოქროს ფონდში დაცული სპექტაკლებიდან

**კოლექცია** – შეხვედრები საინტერესო მოღვაწეებთან, ვინც გატაცებული არიან ხელოვნების ნიმუშებისა და იშვიათი ნივთების შეგროვებით;

**თეატრალური ნოსტალგია** სცენები ძველი დროის პოპულარული სპექტაკლებიდან (რადიოს ოქროს ფონდიდან);

**თეატრალური ანტრაქტი** – სცენები საპრემიერო სპექტაკლებიდან და საქართველოს თეატრების მოქმედი რეპერტუარიდან ანოტაციებით;

**რაც მეხსიერებას შემორჩა** – რადიოს ოქროს ფონდში დაცული იშვიათი ჩანაწერების მომზადების ისტორიები და თავად ჩანაწერები;

**კინოფილმი უეკრანოდ** – გადაცემის წამყვანი აცოცხლებს ქართული ფილმის სიუჟეტს ფრაგმენტული ჩანაწერების თანხლებით;

**ხაზის რადიო** – ყოველ სამუშაო დღეს 10.10-11.00, ხუთი სხვადასხვა ავტორის ხედვა საერთო-ეროვნულ ღირებულებებისა, შეხვედრები ადამიანებთან, ვინც ღირებულებების შექმნაზე ზრუნავდნენ და ზრუნავენ. ექსკლუზიური ჩანაწერები რადიოს ოქროს ფონდიდან.

ორშაბათი – **ცხოვრება კადრს მიღმა** - თეატრისა და კინოს ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრება და შემოქმედება

სამშაბათი – **ქართული ეთნო** - ტრადიციები, ტრადიციებსა და ფოლკლორულ მემკვიდრეობაზე მოამაგე ადამიანები

ოთხშაბათი – საქართველოს სოფლებისა და ქალაქების საინტერესო ისტორიები და კოლორიტები

ხუთშაბათი – ქართული მუსიკის მოამაგენი, უცნობი დეტალები ცნობილი მუსიკოსების ცხოვრებიდან და მათი შემოქმედების უნიკალური ნიმუშები

პარასკევი – ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ადამიანები, ვინც ეპოქალურ ღირებულებებს ქმნიან

**მუსიკის საათი ყოველდღე 13.10-14.00**

ორშაბათი - **ნია ბახტაძის მუსიკალური შეხვედრები** ცნობილ შემსრულებლებთან, ცოცხალი შესრულება, ახალი ჩანაწერებისა და ალბომების პრეზენტაციები პირდაპირ ეთერში;

სამშაბათი – **კლასიკის საათი**, სხვადასხვა ეპოქის ავტორები და ნაწარმოებები (თიბისი ბანკის დაფინანსებით);

ოთხშაბათი – **ჩაკრულო** – ქართული და უცხოური ფოლკლორი, ხალხური სიმღერის შექმნის ისტორიები, მომღერალთა პორტრეტები, ქორეოგრაფიის ისტორია, ხალხური პოეზიის, ხელსაქმისა და ტრადიციების ამსახველი მასალები;

ხუთშაბათი - **ვარიაციები მუსიკის თემაზე** – კლასიკური მუსიკის საუკეთესო ნიმუშები, გამორჩეული ინტერპრეტაციები, ცნობილი და ნიჭიერი ახალბედა ქართველი შემსრულებლები;

პარასკევი - **რეტრო**, 70-90 იანი წლების ქართული ესტრადა, მოგონებები და საინტერესო ისტორიები იმ პერიოდის ცნობილ შემსრულებლებზე, ქართული ესტრადის განვითარების ისტორია და რეტრო-მუსიკის საუკეთესო ჩანაწერები პირდაპირ ეთერში;

შაბათი - **რადიოანშლაგი**, მუსიკალური ცხოვრების სიახლენი, საკონცერტო დარბაზებში გამართული საღამოების ჩანაწერები;

კვირა - **მხოლოდ ოპერა** – საოპერო მუსიკის სიახლენი, ქართველ შემსრულებელთა, კომპოზიტორთა და ახალბედა ნიჭიერ მუსიკოსთა შემოქმედებითი პორტრეტები, ექსკლუზიური მუსიკალური ნომრები;

**პიკის საათი** - დილის შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 07.30-დან 10.00 მდე, შაბათობით 09.00 დან 11.00 მდე – გადაცემა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებაზე. აქვს შესაბამისი რუბრიკები. სტუდიის სტუმართა უმრავლესობა ამ სფეროს წარმომადგენლები არიან;

**ცხოვრება ხელოვნებაში** - ცნობილ ხელოვანთა შემოქმედებითი გზა და ცხოვრებისეული ისტორიები სამშაბათს, 23.10-00.00;

**თავისუფალი ლიტერატურა** – ლიტერატორთა და ლიტერატურის მოყვარულთა საუბრები მწერლებისა და მწერლობის პრობლემებზე. ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ყველა სიახლე - პარასკევს 18.10-19.00;

**ლია ძიძიგურის გალერეა** - შემოქმედი ადამიანების პორტრეტები, ცხოვრებისეული ისტორიები;

**უცნობი მუსიკა** – კახა თოლორდავას ექსკლუზივი შაბათს 23.30-01.00, მსმენელთათვის ნაკლებად ცნობილი მუსიკოსები, მსოფლიო მუსიკის იშვიათი ნიმუშები;

**ჯაზ ამერიკა** - „ამერიკის ხმის" ყოველკვირეული პროგრამა ჯაზზე. რას დევისის საავტორო გადაცემა ჯაზის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროგრამაა მსოფლიოში. „ჯაზ ამერიკა" ინგლისურენოვანია რის გამოც ის გვიან ღამით გადაიცემა.

**ჩვენი საგანძური** - „ღია სტუდიის" შაბათის გამოშვება.14.10-15.00 სთ კულტურული ცხოვრებისა და შემოქმედებითი პროცესების ანალიზი, ეროვნული ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სტრატეგია;

**ბახიდან ოფენბახამდე** – ერთი მუსიკალური შედევრი შემეცნებითი ანოტაციის თანხლებით;

**ქართული მუსიკის ასი წელი** – ქართველი მუსიკოს-შემსრულებლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალა იშვიათი ჩანაწერებით;

**ინტერმედია** – მსოფლიო მუსიკალური ცხოვრების სიახლეები;

**მოუსმინე ისტორიას რადიო1-ზე** - მცირეფორმატიანი გადაცემები კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობაზე. ავტორი ლილი ჭანიშვილი. გადაიცემა დღის განმავლობაში რამდენჯერმე;

**აქცენტები ისტორიაში** – უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ფრაგმენტები საქართველოს ისტორიიდან;

**ისტორია ექსპონატებში** – საქართველოს მუზეუმებსა და სახლ-მუზეუმებში დაცული უნიკალური ექსპონატების ისტორია;

**ხელნაწერი** – საზოგადოებისთვის უცნობი ხელნაწერების შექმნისა და დღემდე მოღწევის ისტორია, მათი კულტურულ-მხატვრული ღირებულებები;

**ფერთამეტყველება** – ხატწერის იშვიათი ნიმუშები, ჩვენამდე მოღწეული სიწმინდეების ისტორია;

**ვეფხისტყაოსნის ეპოქა** – ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია. პოემის ახლებური გააზრება ცნობილ ლიტერატორთა და მკვლევართა მონაწილეობით, ვეფხისტყაოსნის სტროფების მხატვრული კითხვის ჩანართებით. ორშაბათს და ოთხშაბათს დილისა და საღამოს ეთერში

**ეპიზოდები** – უცნობი მასალა არქივებიდან. ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა პირადი მიმოწერა, ნაკლებადცნობილი ფრაგმენტები ძველი დროის შემოქმედთა ცხოვრებიდან.

**სიტყვა ქართული** – ქართული ენის ნორმები, სიტყვების სწორი ფორმები და შინაარსობრივი განმარტებები, სინონიმთა და პარონიმთა გარჩევა;

**აკადემიური სივრცე** – ქართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა, მიღწევები, პრობლემები და განვითარების გზები. პროექტის ფარლგლებში სექტემბრიდან დაიწყო ახალი ციკლი ფუნდამენტურ მეცნიერებებზე;

**საუკუნის ხმები** – უნიკალური ხმები რადიოს ოქროს ფონდიდან მცირე ფორმატით ყოველდღიური პროგრამის გასამდიდრებლად;

**ინგლისურის გაკვეთილი** – ბრიტანეთის საბჭოს მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული გაკვეთილები ლექსიკისა და სასაუბრო ჩვევის გასაუმჯობესებლად;

**თქვენი უფლებები** - სამშაბათს, 15.10-16.00 სთ-მდე – პირდაპირ ეთერში მოწვეული კომპეტენტური იურისტები განმარტავენ მოქმედ კანონებსა და დებულებებს. პროგრამა მიზნად ისახავს აუდიტორიის სამოქალაქო და იურიდიული განათლების ხელშეწყობას;

**შტრიხ-კოდი** - ხუთშაბათს 15.10-16.00 სთ., ექსპერტები, მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ სურსათის უვნებლობის,

საქონლის ვარგისიანობის შემოწმების, შენახვისა და გაყიდვის წესებზე, მომხმარებელთა დამცავ კანონმდებლობაზე;

**ისევ განათლების საკითხებზე** -კონსულტაცია განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე, ეროვნული გამოცდების ახალ წესებზე, რჩევები აბიტურიენტთათვის – შაბათობით 15.10-16.00 სთ

**ფერმერის საათი** - კვირას, 15.10-16.00; რჩევები სოფლის მეურნეობის თემაზე, ტრადიციული ქართული ჯიშებისაა და ახალი კულტურების მოვლა. პროგრამა ფერმერს და გლეხს აძლევს პრაქტიკულ და მეცნიერულ ცოდნას, შუქდება სიახლეები ჯიშების, მოვლის ტექნოლოგიების, შენახვისა და მარკეტინგის სფეროში;

**ოჯახის ექიმი**– ორშაბათს და პარასკევს 15.10-16.00 სთ-მდე, სამედიციო გადაცემა მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრები წესის პოპულარიზაციას და ზოგადი სამედიცინო განათლების გაზრდას. გადაცემას ასევე აქვს საკონსუტლაციო ფუნქციაც;

**მშობელთა სკოლა** – პედიატრისა და სხვადასხვა პროფილის ექიმთა რჩევები ბავშვთა დაავადებების სიმპტომებსა და მკურნალობის მეთოდებზე, პირდაპირ ეთერშია ოთხშაბათს 15.10-16.00 („ფაინ თრი" დაფინანსებით);

**მედიატორი** – გადაცემა მშობლებისა და პედაგოგებისთვის. საუბარი ბავშვთან ურთიერთობის პრობლემებზე, ფსიქოლოგთა რჩევები რთულ მოზარდთა ქცევისა და ხასიათის უკეთ გაგებისათვის;

**ეკომეტრი** - გადაცემის მიზანია საზოგადოების ეკოლოგიური განათლების გაზრდა. საუბარი გარემოსდაცვით პრობლემატიკაზე, ბუნებრივ რესურსებსა და ეკოლოგიურ საფრთხეებზე, ოთხშაბათს 16.10-17.00 (სპონსორთა მხარდაჭერით);

**შაბათ-კვირა 102.4-ზე** – შემეცნებითი-გასართობი პროგრამა შაბათ-კვირას 11.10 დან 13.00 მდე. საინტერესო რუბრიკები, გემოვნებიანი მუსიკა და ხალისიანი განწყობა;

### 3.4 გართობისა და სპორტის მიმართულება

ყველა გასართობ პროგრამას აქვა საგანამანთლებლო და საინფორმაციო მიზნები. რადიო 1-ის ეთერში ყვოელდღიურად გადის სპორტული თოქშოუ. რაც შეეხება სპორტულ ტრანსლაციებს გადაიცემა მხოლოდ მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები, ძირითადად ფეხბურთში, რაგბსა და კალათბურთში საქართველოს ნაკრებების გადამწყვეტი და პრინციპულად მნიშვნელოვანი მატჩები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014 წლის ბრაზილიის მსოლფიო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაცია, რომელიც საზოგადოებრივი რადიოს ორივე არხით

ხორციელდებოდა. ტრანლსაციები დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის. სპორტული ტრანსლაციები მსმენელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

ღამით გადაიცემა კლასიკური მუსიკა.

საზოგადოებრივი რადიო ახორციელებს როგორც ქართული ასევე უცხოური მუსიკალური და კულტურულ ღონისძიებების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებას ან აუდიჩანაწერების ეთერში გაშვებას. უცხოურ მასალებს ვიღებთ EBU-საგან, რაც დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.

**პიკის საათი** - ეს გადაცემა პირველი ქართულ მედიასივრცეში, რომელმაც შეითავსა მუსიკალურ-გასართობი და საინფორმაციო-საგანმანათლებლო ფუნქციები. დილის შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 07.30-დან 10.00 მდე, შაბათობით 09.00 დან 11.00 მდე – გადაცემა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებაზე. აქვს შესაბამისი რუბრიკები. სტუდიის სტუმართა უმრავლესობა ამ სფეროს წარმომადგენლები არიან;

**ელენე ბილიხოძის სპორტული ესტაფეტა** – ყოველდღე კვირის გარდა 19.10-20.00 ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, საუბრები სპორტის სხვადასხვა სახეობათა აქტუალურ საკითხებზე სპორტის სამყაროს ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლების მონაწილეობით;

### 3.5 საქართველოს ენებზე მაუწყებლობა

საზოგადოებრივი რადიო გადასცემს საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ამ მასალას გვაწვდის საზოგადოებრივი მაუწყებლის ნაციონალური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის რედაქცია. გამოშვების ქრონომეტრაჟია 25 წუთი.

ამის გარდა, საზოგადოებრივ რადიო 2-ზე გადის ყოველკვირეული გადაცემა ქურთულ ენაზე.

## 4. ერთობლივი პროექტები და დაფინანსების მოზიდვა

კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა `საზოგადოებრივი რადიოს~ მიერ მოზიდული გარე დაფინანსების მოცულობა მნიშვნელოვნად შეზღუდა. მიუხედავად ამისა „საზოგადოებრივი რადიო“ ახალი კანონმდებლობის პირობებშიც ცდილობს პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროექტებისათვის დაფინანსების გარე წყაროების მოძიებას.

გრძელდება ხელშეკრულება **ამერიკის ხმა**სთან. ყოველდღიური 15წთ-იანი 2 გომოშვება და 30წთ-იანი გადაცემა. ყოველთვიური ანაზღაურება 1500 დოლარი;

## II არხი

განვლილ საანგარიშო პერიოდში მეორე არხი მაუწყებლობდა იმ საერთო ბადით,რომელიც განისაზღვრება არხის კონცეფციის,პრიორიტეტებისა და იმ მემორანდუმის საფუძველზე.რომელიც გაფორმებულია საქართველოს პარლამენტს,კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის.

პიველ რიგში უნდა აღინიშნოს,რომ ეთერში გადაიცა საპარლამენტო ყველა მნიშვნელოვანი საკომიტეტო მოსმენა,სხდომა და ის აქტივობა,რომელიც საზოგადოების მაღალ ინტერესს წარმოადგენდა.

მემორანდუმზე ხელმომწერ პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრება და პოზიცია დაეფიქსირებინათ პროგრამებით „თავისუფალი ტრიბუნა"და „ბრიფინგის დრო".პროგრამაში „ბრიფინგის დრო"ჩვენ ვაშუქებდით არა მხოლოდ მემორანდუმზე ხელმომწერი კვალიფიციური პარტიების ბრიფინგებს,პრესკონფერენციებსა და სხვა აქტივობებს,არამედ ყველა იმ ძირითადი პოლიტიკური აქტიორების პოზიციებს,ვისი აზრიც საზოგადოებისათვის საინტერესოა.

პროგრამით ‘არგუმენტების დრო" ჩვენ მოწვეულ სტუმრებთან-პოლიტიკოსებთან,დეპუტეტებთან და ექსპერტებთან ვმსჯელობდით ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე,მიღებულ მნიშვნელოვან კანონებზე,საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე.

პროგრამაში „ეპიცენტრი"აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები საზოგადოებასი მათ მიმართ დაგროვებულ კითხვებს პასუხობდნენ.

გასული წლის ოქტომბრიდან მეორე არხის ეთერში ჟურნალისტური გამოძიება გავიდა."გამომძიებელი ჟურნალისტი"ერთერთი ყველაზე რეიტინგული პროგრამაა არა მხოლოდ მეორე არხის არამედ პირველი არხის ეთერში.უკვე მომზადდა 18 გადაცემა-საზოგადოებისათვის ყველაზე საჭირბოროტო და აქტუალურ თემებზე.

განვლილ წელს ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ NDI მეორე არხს გადმოსცა ტექნიკა,რომლითაც ჩვენ დავიწყეთ საპარლამენტო გადაცემის-„ჩვენი პარლამენტის „მომზადება.ეთერში გადის პროგრამა,სადაც პარლამენტის მუშაობის მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონიკაა, ამის გარდა, მზადდება სიუჟეტი იმ საკანონმდებლო გადაწყვეტილების შესახებ,რომელიც საზოგადოებისათვის

მნიშვნელოვან ცვლილებებს შეეხება,გადაცემის ბოლო ნაწილი კი პარლამენტის უმრავლესობისა და უმცირესობის დებატებს ეთმობა.

მეორე არხის ეთერში გადის აგრეთვე ეროვნული უმცირესობებისათვის მომზადებული საინფორმაციო პროგრამა „მოამბე"-აფხაზურ,ოსურ,სომხურ,აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე

მეორე არხის ეთერში კვირაში ერთხელ , აფხაზეთის მთავრობასა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე,გადის აფხაზეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ მომზადებული გადაცემა „აფხაზეთი".

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე,მეორე არხის ეთერში,კვირაში ერთხელ განტავსებულია ,,უნივერსიტეტის მედიაცენტრის მიერ მომზადებული პროგრამა-'ჩვენი უნივერსიტეტი".

რადიო „თავისუფლებასა" და "გერმანული ტალღის"-DW ურთიერთ თანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე მეორე არხის ეთერში გადის მათ მიერ მომზადებული რუსულენოვანი საინფორმაციო პროგრამები-„ნამდვილი დრო" და „გეოფაქტორი".

**სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" არქივის სამსახური**

- **ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზირებულია** (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული, კინო და ძველი ვიდეომატარებლებიდან ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზე გადატანილი, ძველი და მიმდინარე (ახალი), სატელევიზიო პროგრამები და ფილმები) **სულ: 499 ჩანაწერი - 485 სთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის აუდიოვიზუალური მასალები.**

დაარქივდა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი და მიმდინარე გადაცემები და სხვადასხვა ტიპის ვიდეო მასალები; ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა – შიდა გამოყენებისთვის, გარე ორგანიზაციებისა თუ მოქალაქეებისთვის, – **322 სთ-ზე მეტი** ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიდეო მასალები.

**"დიდი ვიდეოფირებიდან"** (55 მმ.) გადატანილია ციფრულ (DVCAM) მატარებელზე **2** ერთეული აუდიოვიზუალური მასალა დაახლოებით **2** სთ.

არქივი აგრძელებს აუდიო, ვიდეო, კინო და ფოტო მასლების მოზიდვას კერძო პირების, ამჟამინდელი და ყოფილი თანამშრომლებისაგან, - **20 სთ-ზე მეტი** ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიდეო მასალები.

პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზის სრულყოფა (უზუსტობების აღმოფხვრა; თარიღების დადგენა, დაზუსტება; დამატებითი დეტალების შეტანა; კორექტურის გასწორება და სხვ.).

- **კინოფოტო ფონდიში:**

16 მმ კინოფირებიდან გადაწერილია **42 დასახელების 98 ნაწ;** საქართველოს ტელევიზიის 70-80 იანი წლების გადაცემები, ციფრულ (DVCAM) მატარებელზე -**16:40** სთ.

აქედან:

***უნიკალური მონიტორული გადაღება 11 დასახელების, 32 ნაწილი- 5:40 სთ.***

*უხმო მასალები 31დასხელება 66 ნაწილი, 11.სთ.პარალელირად მიმდინარეობს ბარათების ელ.კატალოგში შეტანა- შეტანილია 1800 ბარათი. მასალების გამოვლენა, კატალოგთან შედარება; განიავება და დაზიანებული კოლოფების და სტიკერების შეცვლა.*

- **აუდიოფონდში:**

გადაიწერა და გაიშიფრა **188 სთ. 3 წთ .3წმ.** = **112 GB .**

უნიკალური მასალა. გაუკეთდა ანოტაცია და სრული კატალოგი. ამავე დროს,

იშიფრება ფონდში შემოსული ძველი მასალები. მიმდინარეობდა

ყოველდღიური სამუშაოები. ფირების აღრიცხვა სტუდიებში გადანაწილება და

ადგილებზე დაბრუნება. დაკვეთების შესრულება.

საზოგადოებრივი მაუწყებელი
GEORGIAN PUBLIC BROADCASTER
GPB.GE

# ტექნიკური სამსახური

2015 წლის დასაწყისში შემუშავდა გარდამავალი გეგმა ციფრული მაუწყებლობისათვის. იანვრის თვიდან დაიწყო პირველი და მეორე არხის საეთეროების მოდერნიზება არსებული მაღალი გარჩევადობის HD აპარატურით, რაც მოიცავს მხოლოდ ტელევიზიის ბაზაზე არსებულ აპარატურას. აღსანიშნავია რომ აპარატურა გათვლილი იყო ქალაქ ქუთაისის ტელეცენტრისათვის და მისი დამონტაჟება მოხდა 2012 წელს, რაც დღევანდელი დღისთვის საჭიროებს მის სისტემურ განვითარებას რათა სრულყოფილად შეძლოს პირველი და მეორე არხის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

გეგმის მიხედვით 2015 წლის პირველ კვარტალში ჩატარდა პირველი არხის პროგრამებისათვის გადაცემული ინტელექტუალური ავტომატიზირებული სისტემის ტექნიკური გამართვა, რაც მოიცავს:

- მთავარ მასივს ISIS 5000
- ოთხ ვიდეოს გამშვებ და ჩამწერ სერვერებს Airseed 5000.
- მედიის ინდექსაციის სერვერის Media Indexer.
- ფაილის სისტემის კონტროლერის Interplay Engine.
- საარქივო აქტივების  კომპონენტის Archive Provaider.
- საარქივო სისტემის კონტროლერის Interplay Archive.
- ვიდეო სერვერების კონტროლერის iCommand.
- ვიდეო სერვერისა და ფაილის მენეჯმენტის კომპონენტს Interplay Assist.
- ფაილის საძიებო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფას Interplay Access.
- მაღალი გარჩევადობის გრაფიკულ  უზრუნველყოფას Avid Motion Graphics.
- ციფრული ლენტური საარქივო სისტემის კომპონენტის Spectra Logic.
- საეთერო ავტომატიზაციას Fastbreak 800.
- საეთერო ავტომატიზაციის კომპონენტის Air Control.

- საეთერო ავტომატიზაციის კომპონენტის Sidon Gateway.
- საეთერო ავტომატიზაციის კომპონენტის Media Prep.
- სამონტაჟო პროგრამულ უზრუნველყოფას Media Composer 6.

არსებული ვიდეო სერვერები გამოიყო პირველი და მეორე არხების ცენტრალური საეთეროებისათვის.

პირველი არხის ცენტრალურ საეთეროში დამონტაჟდა სერვერების კონტროლერი iCommand, მაღალი გარჩევადობის კონცერტების, კლიპებისა და ვიდეო ფაილების გასაშვებათ.

პირველი არხის გადაცემების მოცულობის გათვალისწინებით მოხდა არსებული სისტემის გადაწყობა მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად. მოეწყო სისტემის ცენტრალური სააპარატო (Ingest Room). სისტემაში ჩართული გადაცემების მოცულობის მოთხოვნის შესავსებად, არსებული რვა სამონტაჟო სისტემიდან ოთხი ცენტრალური სააპარატოსათვის გამოიყო. მათგან 2- ფაილის კონსოლიდაციისათვის, 1 -სისტემური მართვისათვის და 1 - საარქივო სისტემის უზრუნველყოფისათვის.

ასევე 2015 წლის პირველ კვარტალში მეორე არხს დროებით მფლობელობაში გადაეცა სატელევიზიო აპარატურა NDI-საგან, რაც მოიცავს:

- მაღალი გარჩევადობის გარე გადაღების 4 კამერის კოპლექტს (JVC) ,
- სტუდიურ განათებას,
- სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო მიქშერს,
- ანალოგურ აუდიო მიქშერს,
- პროფესიონალურ ვიდეო მონიტორებს,
- სტუდიურ აუდიო მონიტორებს,
- მაღალი და სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო კონვერტორებს,
- ქსელურ როუტერსა და სატელეფონო ჰიბრიდს.
- ერთ სამონტაჟო სისტემას

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

2015 წლის თებერვლის თვეში გადაიწყო მეორე არხის საეთერო. გამოიყო ახალი ოთახი, ტელევიზიის სახსრებით აიწყო სპეც ავეჯი სატელევიზიო აპარატურისათვის, შეიცვალა ანალოგური ვიდეო და ხმის მიქშერები, დამონტაჟდა მაღალი გარჩევადობის კონტროლისა და ხმის მონიტორები, დამონტაჟდა ინტელექტრუალური ავტომატიზირებული სისტემის ვიდეო სერვერების კონტროლერი iCommand, სტანდარტული და მაღალი გარჩევადობის ვიდეოს გაშვების ფუნქციით. აღსანიშნავია რომ მეორე არხის საეთეროს სტანდარტული გარჩევადობის ხარისხზე გადასაყვანად, უმეტეს წილად გამოყენებულია საერთაშორისო კოპანიის ,,ენ-დი-აი“-ს მიერ დროებით სარგებლობაში გადმოცემული აპარატურა.

<u>I- კვარტალი 2015წელი.</u>

1. ცენტრალურ სააპატოში პირველი არხის პროგრამის გამომშვებ სააპარატოში დამონტაჟდა Panasonic-ის წარმოების HD გარჩევადობის სატელევიზიო ვიდეო მიქშერი, ადრე არსებული SONY-ის წარმოების HD მიქშერის ნაცვლად, საიდანაც საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის HD კონტენტი ეწოდება საკაბელო და თანამგზავრულ ტელევიზიებს, როგორიცაა: „სილქ-ტვ“, „კავკაზუს ონლაინი“, “მაგთი-ტვ“ და სხვა.

2. ცენტრალურ სააპატოში დამონტაჟდა SD/HD ფორმატის ვიდეო სიგნალების ოპტიკურ-ბოჭკოვანი გადამცემი მოწყობილობა, რომლის საშუალებით პირველი და მეორე არხების სატელევიზიო პროგრამები, ციფრულ ფორმატში მიეწოდა სატელევიზიო ანძაზე განთავსებულ ახალ DVB-T2 ფორმატის სატელევიზიო გადამცემს. შესაბამისი ციფრული ოპტიკურ-ბოჭკოვანი მიმღები მოწყობილობა, დამონტაჟდა სატელევიზიო ანძაზე.

3. ცენტრალურ სააპატოში დამონტაჟდა HD ფორმატის კონტენტის ავარიული გადართვის მოწყობილობა.

4. პირველი არხის პროგრამის გამომშვებ სააპარატოში დამონტაჟდა „ევიდ აი კომანდის“ ვიდეო ფაილების გამშვები სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა ეთერში გაუშვათ HD ფორმატში დამონტაჟებული ტელე გადაცემები „ევიდის სერვერიდან“: „გურმანია“, „ფერმა“ და მშვიდობით იარაღო“.

5. მსგავსი ტიპის SD/HD ფორმატის ტელე პრდუქციის გამშვები მოწყობილობა „ევიდ აი კომანდის" სისტემა დამონტაჟდა მეორე არხის პროგრამის გამომშვებ სააპარატოში ტელე გადაცემების ავიდის სერვერიდან ეთერში გასაშვებად.

6. სატელიტურ სააპარატოს მიემატა მის გვერდით არსებული ოთახი და სააპარატოში ჩატარდა კოსმეტიკური. ამის შემდგომ ერთ ოთახში განთავსდა სატელევიზიო გადამცემ-მიმღები აპარატურა, ხოლო მეორეში მართვისა და კონტროლის სისტემა.

7. ტელევიზიის ეზოში აშენდა სატელიტური გადამცემი ანტენის მოედანი, რის შემდეგ მასზე დამონტაჟდა ქუთაისიდან ჩამოტანილი სატელიტური გადამცემი ანტენა. მიყვანილ იქნა უწყვეტი ელექტრო კვება. სატელიტური სააპარატოსა და გადამცემ ანტენას შორის ჩაიდო ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, ანტენის ქვეშ დამონტაჟდა რეკის ტიპის კალათა, რომელშიც ჩამონტაჟდა ოპტიკური კაბელის პაჩპანელი, ოპტიკური მიმღებ-გადამცემი მოწყობილობები, კავშირისა და მათვის სისტემა.

8. სატელიტურ სააპარატოში დამონტაჟდა HD ფორმატის ენკოდერი და მოდულატორი, ზემოაღნიშნული ანტენის გამაძლიერებლების მართვისა და კონტროლის სისტემა.

9. მსავსი ტიპის სატელიტური გადამცემი ანტენის მოედანი დამონტაჟდა ტელევიზიის საწყობის სახურავზე. მიყვანილ იქნა ორი ელექტრო კვება: ერთი ქვესადგურიდან ჩვეულებრივი ძაბვა, ხოლო მეორე სატელიტური სააპარატოდან (80 კვა უწყვეტი კვების წყაროდან). გაყვანილ იქნა შემაერთებელი კაბელები და ტალღგამტარები ანტენასა და სატელიტურ სააპარატოს შორის.

10. ანტენის მოედანზე დამონტაჟდა თანამგზავრული გადამცემი ანტენა, რომელიც ჩვენ მივიღეთ EBU-სთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, FRNM (ინფორმაციისა და რადიო კავშირის ქსელის) პროექტის შესაბამისად.

11. სატელიტურ სააპარატოში დამონტაჟდა EBU-დან პროექტის ფარგლებში მიღებული გადამცემი ანტენის მართვისა და კონტროლის სისტემა. ენკოდერ-მოდულატორები, რესივერები, სატელიტის მეშვეობით ფაილების გაცვლის სისტემა.

**საზოგადოებრივი რადიო, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:**

1. ვებ-მაუწყებლობის ვიდეო კამერები რადიო ერთის საეთერო სტუდიაში იძლეოდა კონტრასტულ გადანათებულ სიგნალს. აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა ვიდეოკამერების აწყობის მენიუში ცვლილებებით და განათების სიტემის ახლებურად გასწორების მეშვეობით.

2. დაწყებულია ვიზუალური რადიოს არქივირებული მასალების DVD მატარებლებზე გადატანა. შესაძლებელია რადიოპროგრამების წარმოებისას აუდიო-ვიზუალური კონტენტის შემადგენელი დამონტაჟებული სიუჟეტების და სხვა მასალის არქივის სახით შეგროვება და საჭიროებისამებრ ეთერში გაშვება.

3. დაზიანდა და აღდგენილ იქნა ვიდეოკამერების ავტომატური და ხელით ოპერატიული მართვის რეჟიმის გადამრთველი მოწყობილობა „რადიო 1“-ის ვიზუალური სთრიმინგის სისტემაში.

4. „რადიო 2“-ის საეთერო პულტს „Elatec", ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. გაიწმინდა ფეიდერები, დონის რეგულატორები და დარეგულირდა სიგნალის ძირითადი და კონტროლის ტრაქტები.

5. #8 სამონტაჟოს ჩამწერ კომპიუტერში, დაზიანებული ხმის პლატის ნაცვლად, ჩაწერის სისტემა გადაირთო ინტეგრირებული ხმის პლატაზე. შეიცვალა კონექტორები, დაყენდა შესაბამისი დრაივერები, გასწორდა სიგნალის ჩაწერისა და აღდგენის დონეები.

6. გრძელდება აუდიო-ვიდეო ნაკადის მედია სთრიმინგ სერვერი "DataVideo-NVS 20"-ის გამართვა და ტესტირება. იგი იძლევა MPEG-4 ფორმატის მაღალი ხარისხის აუდიო-ვიდეო ნაკადს. სასურველია მოხდეს ამ ნაკადის ჩაწერა და შემდგომი წვდომა ქსელით, რაც მომავალში საშუალებას მოგვცემს თანამედროვე ფაილთა გაცვლის/წვდომის MAM სისტემა ჩამოვაყალიბოთ.

7. „რადიო 1“-ის საეთერო სააპარატოში არსებული ვიდეო პულტის დაზიანებული ქულერი გამოსცემდა ხმაურს და შემცირებული ჰაერის ნაკადი ამცირებდა პულტის გაგრილების ეფექტურობას. ქულერი შეიცვალა ახლით.

8. „რადიო 1“-ის საეთერო სტუდიაში შეკეთდა დაზიანებული სასიგნალო ტაბლო.

9. რადიომაუწყებლობის ცენტრალურ სააპარატოში განთავსებულ გადაცემების ჩამწერ კომპიუტერს დაუზიანდა კვების ბლოკი. ბლოკი შეკეთდა და მუშაობს ნორმალურად.

10. „რადიო 2“-ის საეთერო პროგრამის გამშვებ კომპიუტერს დაუზიანდა კვების ბლოკი. დაზიანებული კვების ბლოკი შეეცვალა ახლით.

11. აუდიო ფონდის მაგნიტოფონებს (STM-610) ჩაუტარდა თავურების იუსტირება. ორ მაგნიტოფონს გაცვეთილი თავურა შეეცვალა ახლით. დარეგულირდა მაგნიტოფონის ჩაწერა-აღდგენის ტრაქტის სიხშირული მახასიათებლები.

12. უკრაინულ რადიოსადგურებთან განხორციელებული პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის, რადიოხიდიების მოსაწყობად #7 სამონტაჟოში დამონტაჟდა აპარატურა Skype-ში სამუშაოდ და მიღებული სიგნალის სინქრონული თარგმნისათვის.

13. შესრულებული იქნა „რადიო 1“-ის მიდებარე ტერიტორიაზე არსებული გასარემონტებელი ფართის ტექნიკური კომუნიკაციების განლაგების წინასწარი გათვლა და გეგმარება, სასიგნალო შახტების და კაბელიზაციის საბოლოო განლაგების დადგენა.

14. აღდგენილი იქნა რადიოს ცენტრალური სააპარატოდან მოხსნილი უწყვეტი კვების წყაროს გაგრილების სიტემა, გამოიცვალა დაზიანებული ქულერები. ახალი აკუმულატორების შეძენის შემთხვევაში უწყვეტი კვების წყარო სრულად გამართულად იმუშავებს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

GEORGIAN PUBLIC BROADCASTER GPB.GE

## იურიდიული სამსახური

### *1. ხელშეკრულებების შესახებ*

2015 წლის პირველ კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 194 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

### *2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ*

2.1.

2015 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა:

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
